პროლეტარებო ყველა ქვეყნისა. შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 294 (9762) | სამშაბათი, 15 დეკემბერი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს ნომერში:

ჩვენს დიად სამშობლოში (1-ლი გვერდი).

პარტიული ცხოვრება. — მორიდებული კრიტიკა. როცა შესრულების შემოწმებას ივიწყებენ (მე-2 გვერდი).

ს. თავაძე, ვ. გორგანელი, ა. გეწაძე. — შორეულ საძოვრებზე (მე-2 და მე-3 გვერდი).

ძირეული პრესის მუშაკთა თათბირები (მე-2 გვერდი).

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში (მე-3 გვერდი).

მეტყველ ექსპონატებთან (მე-3 გვერდი).

ჩვენი კალენდარი. — ვ. ჩკალოვი (მე-3 გვერდი).

12.000 კილომეტრი საბჭოთა კავშირში. — ინტერვიუ არგენტინის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან ბ-ნ ლეოპოლდო ბრავოსთან (მე-4 გვერდი).

გაიხსნა საფრანგეთის მშვიდობას მომხრეთა [illegible] კონფერენცია (მე-4 გვერდი).

ამერიკის მხარემ შეწყვიტა პანმინჯონის მოლაპარაკება (მე-4 გვერდი).

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სხდომაზე (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

პრესის ძალა ფართო აქტივზე დაყრდნობაა

ჩვენი პრესა, რომელიც შექმნა და რომელსაც ხელმძღვანელობს კომუნისტური პარტია, ძლიერი ძალა გახდა. იგი ხელმძღვანელობის ყველაზე მოქნილი ინსტრუმენტია, უაღრესად ფართო მასებზე ზემოქმედების უბადლო საშუალებაა.

საბჭოთა პრესა მთელ თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს მარქსისტული დებულებით, რომ საზოგადოების განვითარებაში გადამწყვეტი როლი ეკუთვნის ხალხის მასებს. საბჭოთა პრესა მტკიცედ, ურღვევად არის დაკავშირებული ხალხთან და ერთგულად ემსახურება მის ინტერესებს. იგი თვალისჩინივით უფრთხილდება ხალხთან კავშირს, დაუცხრომლად ზრუნავს იმისათვის, რომ ეს კავშირი დღითიდღე იზრდებოდეს და მტკიცდებოდეს. ეს არის ჩვენი პრესის უდიდესი ძალა და ცხოველმყოფელობა.

ახლა საბჭოთა პრესის ყურადღების ცენტრშია იმ ღონისძიებათა წარმატებით განხორციელებისათვის ბრძოლის საკითხები, რომლებიც კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ შეიმუშავეს სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისა და სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების მკვეთრი აღმავლობის დარგში.

ვ. ი. ლენინი პრესის მუშაკებს ასწავლიდა, რომ ბეჭდვითი სიტყვის ორგანო ცოცხალი და ცხოველმყოფელი მაშინ იქნება, თუ ხუთ ხელმძღვანელ და მუდმივ მწერალ ლიტერატორზე მოდის ხუთასი და ხუთი ათასი არალიტერატორი მუშაკი.

ცენტრალური და ადგილობრივი გაზეთებისა და ჟურნალების საქმიანობა მით უფრო ნაყოფიერი იქნება, რაც უფრო ფართოა მათი კავშირი პარტიულ და საბჭოთა მუშაკებთან, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ნოვატორებთან, მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების მოღვაწეებთან, რაც უფრო აქტიურად იჭრებიან ისინი ცხოვრებაში, მხარს უჭერენ ყოველივე ახალს, მოწინავეს, პროგრესულს, რაც წარმოიშობა ხალხის მასების შრომითის პრაქტიკაში.

ამ უკანასკნელ ხანს გაზეთების რედაქციებმა გარკვეული მუშაობა შეასრულეს მასებთან თავიანთი კავშირის განსამტკიცებლად. რუსეთის სფსრ, უკრაინის, ბელორუსიის მთელ რიგ ოლქებში გაიმართა მუშა და სოფლის კორესპონდენტთა, პრესის მუშაკთა თათბირები, რომლებზეც განხილულ იქნა, თუ რა არსებითი ამოცანები ეკისრება პრესას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში.

ავტორთა აქტივთან მუშაობის ერთგვარი გამოცდილება შეიძინა სარატოვის საოლქო გაზეთმა „კომუნისტმა". გაზეთის რედაქცია ყოველთვის თათბირობს აქტივთან, მისი მონაწილეობით განიხილავს რედაქციის გეგმებს. რედაქციამ წლის განმავლობაში მოაწყო აქტივის — პროპაგანდისტების, აგიტატორების, პირველადი პარტორგანიზაციების მდივნების, საწარმოთა მოწინავეების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების, სოფლის მეურნეობის მექანიზატორების ოცდაათზე მეტი თათბირი და კრება. რედაქცია ეთათბირებოდა აქტივს, თუ რა გზით შეუძლიათ უკეთ გააშუქონ ოლქის სოფლის მეურნეობის განვითარების, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების აღმავლობის, ვაჭრობის გაუმჯობესების საკითხები.

ყურადღების ღირსია ოდესის საოლქო გაზეთ „ჩორნომორსკა კომუნის" მუშაობა. ეს გაზეთი უწრუნველყოფს აქტივის ფართო მონაწილეობას სოფლის მეურნეობის მოწინავე გამოცდილების პროპაგანდაში. გაზეთში ყოველთვის იბეჭდება მოწინავე კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების, აგრონომების, ზოოტექნიკოსების, საუკეთესო ბრიგადირების, მექანიზატორების, მეცხოველეების წერილები. ისინი რედაქციის ძირითადი დასაყრდენი, მთავარი მრჩევლები არიან.

საამწუხაროდ, ყველგან ასე როდია

„პრავდის" 14 დეკემბრის მოწინავე

საქმე. ჩვენში ჯერ კიდევ არიან ისეთი რედაქციები და რედაქტორები, რომლებიც ფიქრობენ, რომ ისეთ დიდ და პასუხსაგებ საქმეში, როგორიც არის გაზეთის ან ჟურნალის გამოშვება, შეიძლება იოლად წავიდეთ ისე, რომ არ გვყავდეს ავტორთა ფართო წრე, რომ საკმარისია ამისათვის ვიყოლიოთ ხუთი-ათი მარჯვე ჟურნალისტი, რომელნიც მზად არიან ყოველგვარ თემაზე წერონ. ეს საქმის საზიანო შეხედულებაა! ცხოვრება, გამოცდილება გვიჩვენებს, რომ რედაქცია, რომელიც მასებთან, ავტორთა აქტივთან მჭიდრო კავშირის დაუფაარებლად მუშაობს, აუცილებლად ჩიხში ექცევა, ვეღარ უშვებს მებრძოლ, შინაარსიან გაზეთს.

საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკური გაზეთების რედაქტორების თათბირზე, რომელიც ამას წინათ გაიმართა, აღინიშნა სერიოზული ნაკლოვანებანი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საკითხთა გაშუქებაში. გაზეთები და ჟურნალები ხშირად ისე წერენ, თითქოს უკვე გადაწყვეტილი იყოს ყველა ამოცანა, რომლებიც პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დასახა.

რესპუბლიკური გაზეთი „პრავდა უკრაინი" თავის მოწინავე სტატიებში, კორესპონდენციებში მეტწილად მხოლოდ აქვეყნებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის ცნობილ დებულებებს, რომ საჭიროა გაუმჯობესდეს ხელმძღვანელობა სოფლის მეურნეობისადმი, და ნაკლებად ეხმარება რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებს ამ ამოცანის პრაქტიკულად გადაწყვეტაში. გაზეთი მწვავედ არ აკრიტიკებს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მისი ადგილობრივი ორგანოების მუშაობის ნაკლოვანებებს, სუსტად აშუქებს, თუ როგორ მიმდინარეობს ინჟინერთა, აგრონომთა, ზოოტექნიკოსთა შერჩევა მტს-ებისა და კოლმეურნეობებისათვის. საქმე ის არის, რომ „პრავდა უკრაინის" რედაქციას მტკიცე კავშირი არა აქვს სასოფლო-სამეურნეო წარმოების მუშაკებთან, სუსტად უჭერს მხარს კრიტიკას ქვემოდან.

ფაქტები ცხადყოფენ, რომ გაზეთების მასობრივი კავშირის გაფართოებას ხელს უშლის ფორმალიზმი ავტორთა აქტივთან მუშაობაში. ხშირად როგორ ხდება? ნაცვლად იმისა, რომ დაწვრილებით მოელაპარაკოს პარტიულ ან საბჭოთა მუშაკს, სამეურნეო დარგის მუშაკს ან წარმოების ნოვატორს, თუ რა ხასიათისა უნდა იყოს მისი წერილი გაზეთში, მოელაპარაკოს სტატიის გეგმაზე, ხოლო შემდეგ, როცა სტატია დაიწერება, დაეხმაროს ავტორს ლიტერატურულად უკეთ ჩამოაყალიბოს იგი, რედაქციის მუშაკი აგროვებს ზოგიერთ მონაცემებს, ცნობებს და თვითონ წერს სტატიას. ასეთი ლიტერატურული დღიური მუშები, რომლებიც მზად არიან ყველას მაგიერ წერონ, ამრავლებენ მკრთალ, უფერულ, უმაქნის სტატიებს, რომლებიც მოკლებულია ცხოვრების უშუალო დაკვირვებას. მუშაობის ასეთი მეთოდები უცხოა ჩვენი პრესის ტრადიციებისათვის.

გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებში მშრომელთა მრავალი წერილი მოდის. გულისხმიერად მოვეკიდოთ წერილებს, ვიბრძოლოთ მათი ქმედითობისათვის იმას ნიშნავს, რომ განვამტკიცოთ რედაქციების კავშირი მასებთან.

ამავე დროს ჯერ კიდევ არიან რედაქციები, სადაც წერილებზე მუშაობა ნაკლებად მნიშვნელოვან," მესამე ხარისხოვან საქმედ მიაჩნიათ. მკითხველთა წერილებისადმი ასეთი უმართებულო დამოკიდებულება დამყარდა, მაგალითად, გაზეთ „მედიცინსკი რაბოტნიკის" რედაქციაში. აქ დიდი დაგვიანებით აძლევენ პასუხს წერილების ავტორებს, რედაქციის პასუხი ხშირად მხოლოდ და მხოლოდ ბიუროკრატული პასუხია.

პარტია გადაჭრით გმობს მშრომელთა წერილებისადმი ბატონკაცურ-ქედმაღლურ დამოკიდებულებას. ქედმოდან სიგნალებისადმი ბიუროკრატული დამოკიდებულება იწვევს მკითხველებისაგან, ცხოვრებისაგან გაზეთების მოწყვეტას, კრიტიკის შეკვეცას.

ავტორთა ფართო აქტივის უყოლობა, მშრომელთა წერილებისადმი გულგრილი დამოკიდებულება ამა თუ იმ რედაქციის მუშაობის კერძო ნაკლი როდია. ეს საგაზეთო მუშაობის თვითარსის დამახინჯებაა.

იმისათვის, რომ გააძლიერონ თავიანთი მამობილიზებელი და მაორგანიზებელი როლი პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული სახალხო-სამეურნეო ამოცანების პრაქტიკულად განხორციელებაში, ჟურნალ-გაზეთებს სხვა გზა არ მოეპოვებათ, თუ არა ის, რომ კიდევ უფრო გააფართოონ და განამტკიცონ კავშირი მასებთან, გაბედულად გაიჩაღონ ნაკლოვანებათა კრიტიკა. ახლა საბჭოთა პრესის მუშაკთა მრავალრიცხოვანი რაზმის ერთ-ერთი გადაუდებელი ამოცანაა ბეჯითად, მოთმინებით და გულმოდგინედ ზარდოს ავტორთა აქტივი, პრესის თანამშრომლობაში ჩაბას მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეები, ნოვატორები, მცოდნე ადამიანები.

ჩვენი პარტიის არსენალში საკმაოდ ბევრია მასობრივი მუშაობის ფორმა და მეთოდი, რომლებიც ცხოვრებამ გაამართლა. ეს არის ავტორთა აქტივის თათბირები, მუშკორთა და სოფლკორთა რეიდები, რედაქციათა კოლექტივების შეხვედრები მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ნოვატორებთან, კულტურის მოღვაწეებთან, ავტორთა აქტივის სემინარები და სხვები. საჭიროა უფრო სრულად გამოვიყენოთ ეს ფორმები, რათა პრესაში აქტიური მონაწილეობა მივაღებინოთ მკითხველთა ფართო წრეებს.

დაეყრდნობა რა საბჭოთა ადამიანების სულ უფრო მზარდ პოლიტიკურ და შრომითს აქტივობას, ჩვენმა პრესამ გულმოდგინედ და თანმიმდევრულად უნდა იბრძოლოს, რათა განხორციელდეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის მიერ დასახული ამოცანები — მეცხოველეობის გადაჭრით აღმავლობის, კარტოფილისა და ბოსტნეულის, მარცვლეულის, ტექნიკური და ზეთოვანი კულტურების წარმოების გადიდების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობის გაუმჯობესების, სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის დონის ამაღლების ამოცანები.

გაზეთები მოვალენი არიან დაეხმარონ პარტიულ ორგანიზაციებს წარმართონ მშრომელთა შემოქმედებითი ძალები და ენერგია სახელმწიფო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, შრომის ნაყოფიერების შემდგომი აღმავლობისათვის, სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის, სახალხო მეურნეობის ყველა დარგში არსებული რეზერვების მაქსიმალური გამოყენებისათვის საბრძოლველად. ჟურნალ-გაზეთების მოვალეობაა ყოველდღიურად იზრუნონ საბჭოთა ხალხის მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ შეგნებული ისტორიული შემოქმედებისათვის დარაზმეს მშრომელთა უფართოესი მასები, გამოზარდეს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგის მრავალრიცხოვანი აქტივი. ჟურნალ-გაზეთებში ამ აქტივის ფართო მონაწილეობა ხელს შეუწყობს იმას, რომ კიდევ უფრო ავამაღლოთ ჩვენი პრესის, როგორც მშრომელთა კომუნისტური აღზრდის ძლიერი იარაღის, როგორც თვითკრიტიკისა და ქვემოდან კრიტიკის, მასებთან კავშირის განმტკიცების უმნიშვნელოვანესი საშუალების როლი.

ხილ-ბოსტნეული და ბაღჩეული მოსახლეობას!

პარტია და მთავრობა დიდ მზრუნველობას იჩენენ მშრომელთა კეთილდღეობისათვის, სოფლის მეურნეობის პროდუქტებით მათი უზრუნველყოფისათვის.

დღითიდღე მატულობს მშრომელთათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიწოდება. მშრომელთა სუფრას ამშვენებს შავი ზღვის პირიდან შემოზიდული ციტრუსოვანთა ნაყოფი — ოქროსფერი მანდარინი და ფორთოხალი, სურნელოვანი ლიმონი. რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონები მოსახლეობას აწვდიან მაღალხარისხოვან ხილს, ბოსტნეულს, ბაღჩეულს.

ახალი წლის მოახლოებასთან დაკავშირებით ენერგიულად მუშაობენ როგორც დამამზადებელი, ისე ხილ-ბოსტნეულისა და ბაღჩეულის სავაჭრო ორგანიზაციები.

„საქხილბოსტანვაჭრობამ" საქონელბრუნვის მიმდინარე წლის გეგმა ვადაზე ადრე — 12 დეკემბრისათვის 100,2 პროცენტით შეასრულა. 1953 წლის 11 თვის განმავლობაში გაყიდულია მეტი ხილბოსტნეული და ბაღჩეული, ვიდრე შარშან მთელ წელს გაიყიდა. მაგალითად, ბოსტნეულა გაიყიდა 596 ტონით მეტი, ვიდრე გასულ წელს, კარტოფილი 995 ტონით, კუკოვანი და თესლოვანი ნაყოფი — 2.561 ტონით, ყურძენი 539 ტონით, ბაღჩეული კულტურები 612 ტონით, მანდარინი — 400 ტონით მეტი.

„თბილხილბოსტანვაჭრობამ" აიღო დამატებითი ვალდებულება — 1953 წლის სპეციალური ხელშეკრულებით წლის ბოლომდე გაყიდოს კიდევ 2 მილიონი მანეთის პროდუქტები.

ჩვენს დიად სამშობლოში

★ ★ ★

წლიური გეგმა შესრულებულია

ბაქო. ტრესტ ორჯონიკიძენეფტის მეხუთე სარეწის მენავთობეები 12 დეკემბრიდან მომავალი წლის ანგარიშში იღებენ საწვავს.

წარმატება მიღწეულია იმის მეოხებით, რომ გაუმჯობესდა წიაღის დამუშავება, უნარიანად იყენებენ მოწყობილობას და დაინერგა შრომის მოწინავე მეთოდები. ჭაბურღილთა მესამედი გადაყვანილია გაძლიერებულ შერჩევაზე. ავტომატიზებულია შეკუმშული ჰაერის მიწოდება ყველა კომპრესორული ჭაბურღილისათვის.

მოლოტოვი. გაერთიანება „მოლოტოვნეფტის" კოლექტივმა ვადამდე შეასრულა წლიური გეგმა.

მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს პოლაზნინის ნავთობსარეწის მენავთობეებმა, რომლებმაც შვიდი ეშელონი ნავთობი გაუგზავნეს სამრეწველო საწარმოებს წლიური დავალების გადამეტებით.

კარგად მუშაობენ მბურღავები. მათ ვადაზე ორი თვით ადრე დაამთავრეს ჭაბურღილების ღრმა საძიებო ბურღვის წლიური გეგმა, ხოლო საექსპლოატაციო ბურღვისა — ვადაზე 25 დღით ადრე.

კურგანი. 12 დეკემბერს კურგანის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელმა ქარხანამ დაამთავრა წლიური პროგრამა.

მანქანათმშენებლებმა წლიური გეგმის გადამეტებით გამოუშვეს ათი უკოწკურო ელექტროწყალსატუმბავი, ბევრი ჩალასილოსსაჭრელი მანქანა, სასოფლო-სამეურნეო მანქანების სათადარიგო ნაწილები. წლის დამლევამდე საწარმო გეგმის გადამეტებით გამოუშვებს ასობით მანქანას. (საკდესი).

დაზოგილი ლითონით

ივანოვო. (საკდესი). ქვანახშირიან ტორფიან ტრანსპორტიორის მოძრავ ლენტზე დაკიდებული მძლავრი მაგნიტური სეპარატორი სათბობიდან იღებს იქ შემთხვევით მოხვედრილ 8 კილოგრამამდე ლითონის ნაჭრებს. ამრიგად, თავიდან არის აშორებული დაშფხვნელ მოწყობილობათა ავარიები და ქვაბაგრეგატების გაჩერება. ეს აპარატები მზადდება ჩვენი ქვეყნის მოქმედი და მშენებლობის პროცესში მყოფი ელექტროსადგურებისათვის ივანოვოს მექანიკურ ქარხანაში.

საწარმოს კოლექტივმა წელს დიდი მუშაობა შეასრულა მაგნიტური სეპარატორების წონის შესამცირებლად. ფოლადის ფილებს, რომლებსაც წინათ მთლიანს აკეთებდნენ, ახლა ასხამენ დიდრონი ჭრილებით — „ფანჯრებით". იყენებენ სხვა სიახლეებსაც.

წლის დამდეგიდან ქარხანამ დაამზადა ათობით მაგნიტური სეპარატორი, აქედან 10 სეპარატორი — დაზოგილი ლითონით. ახლა მუშავდება დეტალები უკანასკნელი 10 აპარატისათვის, რომლებიც გამოშვებულ იქნება დეკემბერში. ყველა ნამზადი მათთვის ჩამოსხმულია დაზოგილი ფოლადისაგან.

ფართოვდება ავეჯის წარმოება

კიევი. (საკდესი). ფართოვდება უკრაინის ხისდამმუშავებელი მრეწველობა. დამთავრდა ვორონეჟლოვგრადის ავეჯის ასაწყობი მექანიზებული ფაბრიკის მშენებლობა. იგი საუკეთესო ჯიშების ხისაგან დაამზადებს ბუფეტებს, კარადებს, მაგიდებს, სკამებსა და სხვა პროდუქციას. დნეპროპეტროვსკში მთავრდება ავეჯის კომბინატის აგება. იგი აღჭურვება უახლესი ხისდამუშავებელი ჩარხებით, მძლავრი საწეროვე წნეხებით. კარადების, ბუფეტებისა და რბილი ავეჯის აწყობა აქ მხოლოდ კონვეიერებზე იწარმოებს. უკვე გადაცემულია საექსპლოატაციოდ საამწყობო, სკამისა და სხვა საამქროები.

1954 წელს სტალინოში ამუშავდება ავეჯის დიდი მექანიზებული კომბინატი.

კიევის ხისდამმუშავებელ კომბინატში საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი ხე-ტყის სახერხი და პარკეტის საამქროები. წარმოება აქ ნაკადური მეთოდით ხორციელდება. დახერხილი მასალების გამოშვება გაიზარდა 20 პროცენტით, ხოლო პარკეტისა — ერთნახევარჯერ.

ამ წლის დამდეგიდან რესპუბლიკის ავეჯის საწარმოებმა დაამზადეს თითქმის 30 პროცენტით მეტი პროდუქცია, ვიდრე შარშან.

მანქანები კალოებზე სამუშაოთა მექანიზაციისათვის

კუიბიშევი. (საკდესი). 1.200-მდე მარცვალპულტი მუშაობდა წლევანდელი მოსავლის აღების დროს ოლქის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კალოებზე. ეს პულტები, რომლებიც სოფლის, მეურნეობის საოლქო სამმართველოს სარემონტო საწარმოებმა დაამზადეს, ხელს უწყობდნენ გალეწილი მარცვლეულის გაწმენდისა და გახმობის შრომატევადი სამუშაოების მექანიზაციას. თვითეული მარცვალპულტი საათში ამუშავებდა თოთხმეტ ტონამდე მარცვალს და ბევრ მუშახელს ათავისუფლებდა.

წელს მარცვალპულტები გაუმჯობესეს. ისინი აღჭურვეს მექანიკური დამტვირთავებით, რამაც უფრო გაადიდა მათი ეფექტიანობა.

ახლა პოგრუზნინსკის მოტორსარემონტო ქარხანა და კაპიტალური რემონტის ბოგატოვსკის სარაიონთაშორისო სახელოსნო ემზადებიან ახალი, ვიმ-10 მარკის დიდი წარმადობის მარცვალპულტის წარმოებისათვის, რომელიც საათში 24-28 ტონა მარცვალს ამუშავებს.

იანვარში დაიწყება ამ მანქანების გამოშვება.

ავიაცია სოფლის მეურნეობას

სსრ კავშირის სამოქალაქო საჰაერო ფლოტის ავიაციამ მიმდინარე წელს დიდი დახმარება გაუწია სოფლის მეურნეობის მუშაკებს.

თვითმფრინავებით შეიტანეს მინერალური სასუქი უკრაინისა და მოლდავეთის რესპუბლიკების თითქმის ნახევარ მილიონ ჰექტარ საშემოდგომო ჭვავისა და ხორბლის ნათესში. ავიაციის საშუალებით სასუქი შეტანილია აგრეთვე კრასნოიარსკისა და სტავროპოლის მხარეების, როსტოვის, სტალინგრადის, გროზნოსა და ყირიმის ოლქების, ბელორუსიის, ლიტვისა და აზერბაიჯანის სს რესპუბლიკების დიდ ნათეს ფართობებზე.

ავიატორები მონაწილეობას იღებდნენ უზბეკეთის, ტაჯიკეთის, ყირგიზეთისა და ყაზახეთის ბამბის ნათესთა ქიმიურ დამუშავებაში. დიდ ფართობზე დამტვერეს მცენარეები. ამან ხელი შეუწყო ფოთლების სწრაფ ცვენას, შესაძლებელი გახადა მანქანით ბამბის კრეფა.

ჰაერიდან ქიმიურად დაამუშავეს ბაღები ყირიმში, საქართველოს, მოლდავეთისა და აზერბაიჯანის სს რესპუბლიკებში, კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეებში.

წელს ავიაციის მიერ სოფლის მეურნეობაში შესრულებულ სამუშაოთა მოცულობა ცხრაჯერ გადიდდა 1940 წელთან შედარებით.

ავტომოტოსპორტის სრულიად საკავშირო შეჯიბრებაზე

სიმფეროპოლი, 13 დეკემბერი. (საკდესი). დღეს, ავტომოტოსპორტის სრულიად საკავშირო შეჯიბრების მესამე დღეს, გაიმართა სამარაოლი ავტომობილებისა და მოტოციკლების შეჯიბრება 10 კილომეტრ დისტანციაზე.

ყველაზე კარგ შედეგს მიაღწია სპორტის ოსტატმა ვ. ნიკიტინმა (ხარკოვი). მან „ხარკოვ-6" მარკის 2.000-მდე კუბური სანტიმეტრი კლასის ავტომობილით გაიარა დისტანცია საათში 256,23 კილომეტრი საშუალო სიჩქარით, რაც ახალი სრულიად საკავშირო რეკორდია. იგი მნიშვნელოვნად აღემატება არსებულ მსოფლიო რეკორდს.

სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ა. ნოვიკოვმა (მოსკოვი) 100 კუბურ სანტიმეტრამდე კლასის მოტოციკლით ადგილზე სტარტიდან 10 კილომეტრ დისტანციაზე ახალი სრულიად საკავშირო რეკორდი დაამყარა, გაიარა რა ეს მანძილი საათში 125 კილომეტრი საშუალო სიჩქარით. ეს შედეგიც აღემატება მსოფლიო რეკორდს.

ე. ერმანისმა (რიგა) 500-მდე კუბური სანტიმეტრი კლასის სამთვლიანი მოტოციკლით სიჩქარეზელი გარბენის დროს 10 კილომეტრი გაიარა საშუალოდ საათში 182,83 კილომეტრი სიჩქარით.

დამთავრდა ჰაღრაკში სსრ კავშირის პირველობის გათამაშება ქალთა შორის

ლენინ როსტოვი, 11 დეკემბერი. (საკდესი). დღეს დამთავრდა ჰაღრაკში სსრ კავშირის პირველობის გათამაშება ქალთა შორის. შესანიშნავი წარმატებები მოიპოვა მინსკელმა მოჭადრაკემ — კონინეკინერმა ზვორიკინამ. 17 პარტიაში მან 10 მოიგო, 6 ყაიმით დამთავრა და ერთი წაგო. შეაგროვა რა 13 ქულა 17 შესაძლებელში, ზვორიკინამ პირველი ადგილი დაიკავა და მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის სპატიო წოდება.

მეორე ადგილი დაიკავა რუდენკომ (ლენინგრადი). ლენინგრადელმა მოჭადრაკეებმა ბორისენკომ, სემიონოვამ და ვოლპერტმა გაინაწილეს მესამე-მეხუთე ადგილები. მეექვსე და მეშვიდე ადგილი გაინაწილეს მოსკოველებმა იგნატიევამ და ვოიციკმა.

სუსტად ჩაატარა ტურნირი მსოფლიო ჩემპიონმა ბიკოვამ (მოსკოვი), რომელმაც მერვე ადგილი დაიკავა. მეცხრე ადგილზეა რუბცოვა (მოსკოვი), მეათე ადგილზე — ტურნირის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე, ტალინის წარმომადგენელი ნალტინგი.

ტურნირის ცხრილს ბოლოში არიან ფილანოვსკაია (სვერდლოვსკი), მალინოვა (კიევი), კაკაბაძე (თბილისი), მახნია (კიევი), ბიგლოვა (ლენინგრადი), გოგიავა (თბილისი), ვაისბერგი (კიევი) და სტრანდსტრემი (მოსკოვი).

★★



1. ლენინგრადი. სტალინის სახელობის ლითონის ქარხნის ჰიდროტურბინის საამქროში წარმოებს კუიბიშევის ჰიდროელსადგურისათვის განკუთვნილი ტურბინის დეტალების მექანიკური დამუშავება. **სურათზე:** ტურბინის სტატორისა და ჯვარედის დაჩნევა. წინა პლანზე—მჩნეველები ა. ა. დმიტრიევი და ს. ა. მოტორინი, რომლებიც ცვლაში ორ-ორ ნორმაზე მეტს ასრულებენ 2. საბჭოთა მეურნეობა „ლენინი პოლიანი" ერთ-ერთი მოწინავეა მოსკოვის ოლქში. აქ მექანიზებულია ყველა შრომატევადი სამუშაო, კარგად მოწყობილია პირუტყვის სადგომები. კარგი მოვლის შედეგად მეცხოველეებმა მიაღწიეს იმას, რომ წლიური საშუალო წველადობა ძროხაზე 5.500 კილოგრამს აღემატება. **სურათზე:** მწველავი მ. პ. ივანოვა საკვებს აძლევს ძროხებს.

ფოტო პ. ფედოტოვისა და ნ. კულეშოვისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

პარტიული ცხოვრება

მორიდებული კრიტიკა

ერთ დროს ყვარლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა მოწინავედ ითვლებოდა. მაგრამ უკანასკნელი ორი-სამი წლის განმავლობაში ცუდი ხელმძღვანელობის შედეგად კოლმეურნეობა დაქვეითდა. წელს კოლმეურნეობამ ვერც ერთი სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის გეგმა ვერ შეასრულა. კოლმეურნეობაში ვერ შეძლეს მუშაობის გარდაქმნა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

ნაკლოვანებათა მხილება მოსალოდნელი იყო პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე, რომელიც ამ დღეებში გაიმართა. მაგრამ არც პარტბიუროს მდივანს ი. ბუშელაშვილს და არც კომათში გამოსულ კომუნისტებს ნაკლოვანებებზე არ ულაპარაკნიათ.

კოლმეურნეობაში წელს მოუვლელობით დაიხოცა მრავალი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, ცხვარი და თხა, ღორი და ფრინველი. დაბალია მეცხოველეობის პროდუქტიულობა. წელს თვითეულ საფუძველზე ძროხაზე 163 ლიტრი რძე მიიღეს, გეგმა კი 800 ლიტრს ითვალისწინებდა. ეს იმიტომ ხდება, რომ პირუტყვის ჯიშს არ აუმჯობესებენ, არ უზრუნველყოფენ მას საკვებით. საკვების დამზადების მხრივ ამყამად უარესი მდგომარეობაა. საკვებმოპოვების ბრიგადა კოლმეურნეობაში ზედმეტად ჩათვლეს და საკვების შეგროვება ფერმის მუშაკებს დააკისრეს. ისინი უპასუხისმგებლოდ მოეკიდნენ მინდობილ საქმეს და 2.200 ტონა უხეში საკვების ნაცვლად 350 ტონა ძლივს დაამზადეს. 8 ჰექტარზე დათესილი საკვები ჭარხალი მოუვლელობით გაფუჭდა.

პარტბიუროს მდივანმა ი. ბუშელაშვილმა იმიტომ აუარა გვერდი ამ ფაქტებს, რომ დანაშაულში თვითონაც წილი უდგეს. იგი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ფერმის გამგედ მუშაობდა და მინდობილ საქმეს ცუდად უძღვებოდა.

მოუმზადებლად ჩაიარა საანგარიშო-საარჩევნო კრებამ სოფელ ჭიკაანის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის პარტიულ ორგანიზაციაში. პარტბიუროს მდივანმა ო. შალაშვილმა, მართალია, მთელი რიგი ნაკლოვანებანი ამხილა, მაგრამ არაფერი თქვა იმის შესახებ, რომ ჯერ კიდევ ცუდად წარმოებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილების პროპაგანდა. სრულ უმოქმედობას იჩენენ აგიტატორები ე. სარალიძე, ვ. ნოკობოზოვი, ს. ბიქოვი.

მომხსენებელმა და მოკამათეებმა ვერც პარტიის რაიკომის მუშაკების გაკრიტიკება გაბედეს, თუმცა ამის შესახებ სათქმელი ბევრი ჰქონდათ. რაიკომის მუშაკები იშვიათად მედიან ამ პარტიულ ორგანიზაციაში დასახმარებლად.

პარტიული კრებების დაბალი იდეური დონე იქით აიხსნება, რომ პარტიის ყვარლის რაიკომი საკმაოდ არ ზრუნავს ანგარიშგება-არჩევნების მომზადებულად ჩატარებისათვის.

ს. ძოწლაძე,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

აგიტაგორთა საქალაქო სემინარი

ტყიბული. (საკ. კორ.). მოეწყო ქალაქის მსხვილი საწარმო-დაწესებულებების აგიტატორთა ორდღიანი სემინარი.

სემინარის მონაწილეთათვის წაკითხულ იქნა ლექციები შემდეგ თემებზე: „კომუნისტური პარტია საბჭოთა საზოგადოების წარმმართველი და ხელმძღვანელი ძალაა“, „საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობა მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს საფუძველთა საფუძველია“, „საბჭოთა პატრიოტიზმი სოციალისტური საზოგადოების მამოძრავებელი ძალაა“, „როგორ მოვაწყოთ სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა პროპაგანდა“.

როცა შესრულების შემოწმებას ივიწყებენ

ავტომსარემონტო ქარხნის კომუნისტების საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე

შარშანდელთან შედარებით წელს თბილისის ავტომსარემონტო ქარხანამ საგრძნობლად გაადიდა პირველხარისხოვანი პროდუქციის გამოშვება და გადაჭარბებით გაანაღდა საერთო და საქონლო პროდუქციის გამოშვების დავალება. პარტბიუროს თანამიმდევრულად განიხილავს საწარმოს საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს, კერძოდ, საჭირო ყურადღებას უთმობს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასაც, ღონისძიებებსაც სახავს, მაგრამ ხშირად მიღებულ დადგენილებას ივიწყებს, არ იბრძვის მისი განხორციელებისათვის. ამიტომ შემთხვევით როდია, რომ ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის წუნდებული პროდუქციის გამოშვება, მომხმარებელთა საჩივრები და რეკლამაციები.

მიმდინარე წლის ათ თვეში ცალკეულ ოპერაციათა დაბალხარისხოვან შესრულების შედეგად მიღებულმა წუნდებულმა პროდუქციამ 2,6 პროცენტს მიაღწია. ამავე პერიოდში შემკვეთელმა ორგანიზაციებმა ქარხანას ხელმეორე შეკეთებისათვის დაუბრუნეს 20 ავტომანქანა. ეს იმიტომ მოხდა, რომ ტექნიკური განყოფილების მუშაკთა აშკარა უპასუხისმგებლობის შედეგად ირღვეოდა ტექნოლოგიური პროცესები ამწყობ და მექანიკურ საამქროებში.

თუ როგორ ხელმძღვანელობენ აქ ცალკეულ საამქროებს და როგორ იბრძვიან პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად, მრწმობს შემდეგი ფაქტები. ამას წინათ ოსტატმა კ. ლევიცკიმ ზეინკალ ა. ვიქტოროვს გასაბურღად გადასცა ტექნიკური განყოფილების მიერ კონსტრუირებული ერთ-ერთი დეტალი, მაგრამ არ განუმარტავს მისთვის, თუ როგორ გაებურღა იგი. ამას შედეგად მოჰყვა 26 სამუშაო ცილინდრის წუნი. წუნმდებელ გ. ვართანოვის დაუდევრობით ავტომანქანის უკანა ხიდი არასწორად აიწყეს. საჭირო გახდა მისი ხელმეორედ დაშლა. ოსტატმა ვ. ბედოშვილმა დაამსხვრია მანქანის რადიატორი. ყოველივე ეს ხდებოდა საამქროს უფროსის გ. ჩიკვაიძის (რომელიც ამავე დროს პარტბიუროს წევრია) თვალწინ, მაგრამ მას არ მიუღია გადამჭრელი ზომები წუნის აღმოსაფხვრელად.

წუნდებული პროდუქციის გამოშვება იმის შედეგიც არის, რომ საამქროების პარტიული ორგანიზაციები არ იყენებენ ადმინისტრაციის საქმიანობისადმი პარტიული კონტროლის უფლებას. პარტიული კრებების დადგენილებები შეუსრულებელი რჩება. ქარხნის მთავარ ინჟინერს გ. ნეფარიძეს პარტიულმა ბიურომ დაავალა ლითონის ახლებურად დამუშავების გამოცდილების გაზიარების მიზნით მოწინავე საწარმოებში ოსტატთა ექსკურსიების მოწყობა და ტექნიკური კონფერენციების ორგანიზაცია, მაგრამ დადგენილება დადგენილებად დარჩა.

წარმოებაში ნოვატორული მეთოდების დანერგვა, რაციონალიზატორთა საქმიანი წინადადებების განხორციელება მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების და წუნის მოსპობის მნიშვნელოვანი პირობაა. მოსალოდნელი იყო, რომ საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე მომხსენებელი, პარტბიუროს მდივანი ლ. ნიკურაძე ილაპარაკებდა პარტიული ორგანიზაციის მიერ ნოვატორებთან და რაციონალიზატორებთან გაწეულ მუშაობაზე, მაგრამ იგი დაკმაყოფილდა მხოლოდ ზერელე განცხადებით იმის თაობაზე, რომ 130 რაციონალიზატორული წინადადებიდან განხორციელებულია მხოლოდ 96, რამაც წარმოებას 191.732 მანეთი ეკონომია მისცა. მან აგრეთვე ცოტა ილაპარაკა კომკავშირელებთან და კავშირგარეშე ახალგაზრდებთან მუშაობის საკითხებზე, კერძოდ არაფერი თქვა პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის ნაკლოვანებებზე, რაც თავს იჩენს შრომის დისციპლინის დარღვევაში. სერიოზული ნაკლოვანებებია კადრების აღზრდის, მათი ტექნიკური დაოსტატების, კვალიფიკაციის ამაღლების მხრივაც.

საამქროების პროფესიული ორგანიზაციები მოწყვეტილი არიან მასებს, სუსტად მუშაობენ სტახანოველებთან. ხელმძღვანელობის მოდუნების შედეგად სოციალისტურ შეჯიბრებაში გამეფებულია ფორმალიზმი. სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულების შესრულებას ფაქტიურად არავინ ამოწმებს. ამიტომ არის, რომ ნაკისრი ვალდებულებანი ქაღალდზე რჩება.

ამ ნაკლოვანებებზე ილაპარაკეს სიტყვით გამოსულმა ამხანაგებმა. საგულისხმოა, რომ საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ შ. გოცაძემაც არ უარყო ეს ნაკლოვანებანი, მაგრამ იგე უსაფუძვლოდ შეეცადა თავის მართლებას.

— პარტბიურო, — განაცხადა ოსტატმა გ. სალაძემ, — საჭირო ხელმძღვანელობას არ უწევს კომკავშირის ორგანიზაციას. მივიწყებულია ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკური აღზრდისადმი ხელმძღვანელობა.

საანგარიშო მოხსენებაში არაფერი იყო ნათქვამი მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაზე. ამ მხრივ კი ნაკლოვანებანი დიდია. ამაზე მოურიდებლად ილაპარაკეს კომუნისტებმა. უწესრიგობაა საერთო საცხოვრებლებში, მაღაზიასა და სასადილოში.

საანგარიშო-საარჩევნო კრებამ მხილებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად შეიმუშავა პრაქტიკული ღონისძიებანი.

გ. ხეჩუაშვილი.

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივი შეფობას უწევს მარტყოფის მანქანა-ტრაქტორთა სადგურს. **სურათზე:** ჩქაროსანი ხარატები ა. მარგველაშვილი (მარცხნივ) და ვ. კონევი მარტყოფის მტს-სათვის ამზადებენ სატრაქტორო ლილვებს.

ფოტო რ. მორჩილაძისა.

შიფერის ქარხანა კოლმეურნეობის შეფია

ქასპი. (საკ. კორ.). შიფერის ქარხნის კოლექტივი შეფობას უწევს სოფელ ქვემო ხანდაკის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობას. ხანდაკელ კოლმეურნეებს შეფი დაეხმარა პირუტყვის სადგომი ბინების შეკეთებაში. გეგმის გადამეტებით გამოშვებული პროდუქციიდან კოლმეურნეობას გამოუყვეს და ადგილზე მიუზიდეს 10 ათასი ცალი შიფერი, დაუმზადეს ფანჯრის ახალი ჩარჩოები, ანჯამები, პირუტყვის სადგომ ბინებში ჩაუსვეს მინები.

წლიური გეგმის შესრულება

ნავთობდამამჭიმებელ წაღისეულთა ტრესტმა ვადამდე ერთი თვით აღრე — 30 ნოემბრისათვის შეასრულა წაღისეულთა მოპოვების 1953 წლის გეგმა.

გუმბრინის მომპოვებელმა მაღაროელებმა წლიური საწარმოო დავალება 3 დეკემბერს გაანაღდეს, ნატები გუმბრინის დამზადების წლიური გეგმა შესრულეს 100 პროცენტით, ხოლო დაფქული გუმბრინის დამზადებისა — 102,1 პროცენტით.

წარმატებით იმუშავეს მახარაძის მაღაროთა კოლექტივებმა, რომლებმაც 11 თვეში წლიური გეგმის გადამეტებით მოგვცეს 3.500 ტონა ასკანგელი.

წელს შესამჩნევად გააუმჯობესეს მუშაობა ბარიტის მაღაროების კოლექტივებმა, რომლებმაც 11 თვის გეგმა საერთო პროდუქციის გამოშვების დარგში 107 პროცენტით შეასრულეს.

ძირეული პარტიული მუშაკთა თათბირები

ბალი. (სპეც. კორ.). გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციამ პარტიის რაიონულ კომიტეტთან ერთად მოაწყო ძირეული პრესის მუშაკთა თათბირი. თათბირმა მოისმინა მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში ძირეული პრესის ამოცანების შესახებ.

თათბირზე სიტყვით გამოვიდნენ სოფელ ოქუმის ლენინის სახელობის და მეორე 'გუდაკის გეგეჭკორის სახელობის კოლმეურნეობების, გალის სამომხმარებლო კოოპერაციისა და სოფელ ნაბაკევის საშუალო სკოლის კედლის გაზეთების რედაქტორები ი. ფარულუა, ე. ხუბუა, მ. სარუა, დ. ქანთარია, რაიონული გაზეთის — „სტალინური გზით“ რედაქტორი მ. ჭკადუა.

ძირეული პრესის მუშაობის გარდაქმნისათვის თათბირმა შეიმუშავა სათანადო ღონისძიებანი.

* * *

გურჯაანი. გაიმართა ძირეული პრესის მუშაკთა სარაიონო თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ კოლმეურნეობების, მტს-ების, საწარმო-დაწესებულებების კედლის გაზეთების რედაქტორები, აგრეთვე რაიონულ გაზეთ „საკოლმეურნეო შრომის“ კორესპონდენტები.

თათბირის მონაწილეებმა მოისმინეს პარტიის რაიკომის ბროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის ამხ. ვ. დოლენჯაშვილის მოხსენება „ძირეული პრესის ამოცანები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილების განხორციელებისათვის ბრძოლაში“.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ველისციხის მტს-ის კედლის გაზეთის რედაქტორმა ამხ. დ. სარიევმა, სოფელ ვაზისუბნის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის კედლის გაზეთის რედაქტორმა ამხ. ლ. ბაგრატაშვილმა, სოფელ ველისციხის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ კედლის გაზეთის რედაქტორმა ამხ. გ. ანდრიაშვილმა, გაზეთ „საკოლმეურნეო შრომის“ რედაქტორმა ამხ. შ. მაჭავარიანმა და სხვ.

თათბირმა დასახა სათანადო პრაქტიკული ღონისძიებანი.

* * *

ტყიბული. (საკ. კორ.). ძირეული პრესის მუშაკთა რაიონულ თათბირზე მოხსენება „ძირეული პრესის ამოცანები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილების განხორციელებისათვის ბრძოლაში“ გააკეთა პარტიის რაიონული კომიტეტის მეორე მდივანმა ამხ. ი. გიორგობიანმა.

თათბირის მონაწილეებს თავიანთი მუშაობის გამოცდილება გაუზიარეს კედლის გაზეთების რედაქტორებმა ა. ყორეოლაძემ— და ნ. ზვიადაგინცევმა, სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე სოფელ კოკის, ახალსოფლის, ცუცხვათის კოლმეურნეობების პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები გ. გვეტაძე, გ. რიეამაძე, შ. ჭელიშვილი და რაიონული გაზეთის „ტყიბულის მაღაროელის“ რედაქტორი ამხ. ს. მერკვილაძე.

* * *

როგორც ჩვენი საკუთარი კორესპონდენტები, აგრეთვე „კომუნისტის“ მკითხველები ამხ. ა. გოცაძე, ს. კუტავა, შ. ტოგონიძე, გ. ჩაბაკური, დ. ჩუბინიძე გვატყობინებენ, ძირეული პრესის მუშაკთა თათბირები გაიმართა ჭიათურის, ახალციხის, ზესტაფონის, ასპინძის, ცხაკაიას, წყალტუბოს, ყაზბეგის, მაიაკოვსკის რაიონებშიც.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„მივხედოთ ყარალაჯს“, „კეთილმოუნყობელი გზა“

ამ სათაურებით „კომუნისტის“ ა. წ. 15 და 18 ოქტომბრის ნომრებში დაბეჭდილ წერილებში აღნიშნული იყო, რომ კასპის რაიონის სოფელ ყარალაჯთან და რკინიგზის სადგურ გრაკალთან დამაკავშირებელი გზები გაფუჭებულია, სოფლის კლუბი საწყობად არის გამოყენებული, სოფელში არ არის რადიო და ელექტროგანათება.

საქართველოს კომპარტიის კასპის რაიკომის მდივანი ამხ. ჯავახიშვილი რედაქციას აცნობებს, რომ გაზეთში გამოქვეყნებული წერილები განიხილა რაიკომის ბიურომ, სწორად ცნო კრიტიკა და დასახა ღონისძიებანი სოფელ ყარალაჯის გზის კეთილმოწყობისა და მოსახლეობის კულტურული მომსახურების გაუმჯობესებისათვის.

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

საჩხერის რაიონიდან „კომუნისტის“ რედაქციამ მიიღო მამხილებელი კორესპონდენცია, რომელიც შეეხებოდა სოფელ ქორეთის კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივნისა და საწყობის გამგის გ. ლაბაძის ბოროტმოქმედებას. კორესპონდენცია შესასწავლად გადაეგზავნა საკუთარ კორესპონდენტს.

კორესპონდენციაში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა. გ. ლაბაძის საკითხი ამას წინათ განიხილა საქართველოს კომპარტიის საჩხერის რაიკომის ბიურომ.

რაიკომის ბიურომ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების უხეშად დარღვევისათვის გ. ლაბაძე მოხსნა პარტბიუროს მდივნობიდან და გამოუცხადა სასტიკი საყვედური საღრიცხვო ბარათში შეტანით. კოლმეურნეობის გამგეობას რჩევა მიეცა — მოხსნას გ. ლაბაძე საწყობის გამგის თანამდებობიდან.

შორეულ საძოვრებზე

კასპიისპირეთში, ქართველ მეცხვარეებთან

თოვლით გადათეთრებულ ტრამალს თვალი ვერა სწვდება. ცა თუმცა მოწმენდილია, მაგრამ მიმცხრალი მზის სხივი სქელ ბინდში ოდნავ კიაფობს. ჩრდილო-აღმოსავლეთის ნიავქარი უბერავს და ყინვის სისასტიკეს კიდევ უფრო აძლიერებს.

ზოგმბრის მიწურულია. თვენახევრის წინათ დუშეთის რაიონიდან დაძრულ ცხვრის ფარას ბინებამდე ჯერ ვერ მიუღწევია. აგერ, ტალღისებური ბორცვებით დაქსელილ ველზე, სადაც მხოლოდ აქა-იქ მოჩანს თოვლიდან თავამოყოფილი ხმელი ბალახის წვეროები, ცხვრის დიდ ფარას წინ მიუძღვება გრძელკომბლიანი მწყემსი, ტანადი ვაქაკი. მწყემსს ცხვრის ქურქი აცვია, თავზე სქელბეწვიანი ბოხოხი ახურავს, შეუჩერებლად, ერთნაირი ნაბიჯით მიდის წინ. გულდანდობილად მიჰყვება წინ მიმავალ ადამიანს ცხვრის ფარა. მას ფეხდაფეხ მიაცილებენ მცველი ძაღლები. ისინი ნელა მიბიჯავენ, დაღლილობა იმათაც ემჩნევათ.

წელს უჩვეულო ყინვამ ცხვარს გზაში მოუსწრო, სვლა გააძნელა. გზადაგზა საკვებიც ნაკლებად იმოვნებოდა.

წარმოუდგენელად ძნელია ამ დროს მწყემსის მდგომარეობა, პასუხისმგებლობა ქვეყნის წინაშე. მწყემსიც ხომ თვენახევარია გზაშია, ქარსა და წვიმაში, თოვლსა და ყინვაში, მაგრამ სწორედ აქ იჩენს თავს მისი გამძლეობა.

ზოგს მწყემსის ცხოვრება მეტწილად იდილიური ჰგონია. რა სჯობია ზაფხულში, თრიალეთის მთების კალთებზე ან მთათუშეთში მაღლობიდან რომ დაჰყურებ მთის ყვავილებით მოქარგულ ფერდობებს, ჩქრიალა მდინარეებს; გრილი ნიავი თითქოს გეალერსება, ცისა და მიწის შეხმატკბილებულ ჰანგს გიმღერის. მაგრამ ასეთი დღეები მალე გაივლის. იწყება მგზავრობა, ზამთრის საძოვრები, დოლი... ვინ მოსდვლის რამდენი უძილო ღამე უნდა გადაიტანოს მწყემსმა, რომ თავისი მოვალეობა პირნათლად შეასრულოს.

ჩორნი რინოკში დილით ადრე ჩავედით. მკაცრი ყინვა იყო.

ჩრდილოეთ კავკასიის ზამთრის საძოვრების სამმართველოში ჩვენთან ერთად მოხდენილად გამოწყობილი ჭაბუკი შემოვიდა და კუთხეში მორიდებულად დადგა. სახე თუმცა სიჯანსაღით უელვარებს, მაგრამ მის თაფლისფერ თვალებში რაღაც ნაღველი გამოკრთის; მოუსვენრობა ემჩნევა.

— სადაური ხარ, ჭაბუკო?

— მთიელი გახლავარ, კობაიძე.

— რა საქმეზე მუშაობ?

— მწყემსი ვარ, თორმეტი წელიწადია ცხვარში ვარ! — მთიულურად აწეული კილოთი გვიპასუხა ვანო კობაიძემ.

— რაღაც გაწუხებს, ძმობილო!

— ეჰ, როგორ არ მაწუხებს, ახლავე თუ არ მომეშველნენ, ცხვარი დამელუპება. რამდენიმე უკვე დაეცა.

— სადა გყავს ფარა, შორს არის აქედან?

— ას კილომეტრზეა, ბაჯიგანში, არც საკვები, არც ბინა...

ამ დროს კარი გაიღო და სამმართველოს უფროსი დავით გიგაური შემოვიდა. მოგვესალმა, გაგვეცინა, უმალვე მწყემსს მიხედა:

— რაღაც უნდა გიჭირდეს!

ვანო კობაიძემ, ამ ოცდაორი წლის ჭაბუკმა თავი ისე დახარა, თითქოს მშობლის წინაშე მცირე რამ დანაშაული მიუძღვისო, მაგრამ იმწამსვე დავითს თვალი გაუსწორა და ხმაწეულად დაიწყო:

— ბაჯიგანამდე მივალწიე. ათას ხუთასი ცხვარი მყავს. საკვები არა გვაქვს. დაღონდა ცხვარი, ზოგი უკვე დაეცა. თქვენთან გამოვეშურე, ხან ფეხით, ხან მანქანით. ახლა უნდა გეშველოთ, ცხვარს გზის გაგრძელება უნდა შევაძლებინოთ.

— ფერმის გამგე სად არის?

— რა ვიცი, სწორედ ამ გაჭირვების დროს ვერ მოალწია ჩვენამდე.

— ვინ არის თქვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარე?

— ჩვენი, სოფელ ხევშის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ალექსი ჭიკაიძეა.

— კარგი. ვიცი. ახლავე გასწი სამანქანო სადგურში ირაკლი ქავთარაძესთან, მანქანას მოგცემს.

მწყემსი სწრაფად გავიდა. დავითი კი ჩვენ მოგვიბრუნდა:

— ცუდ დროს მოგვისწრო ამ ტიალმა ყინვამ. ყველანი არ არიან ჯერ ზზად. ზოგან ბინების შეკეთება ახლა იწყება, ზოგს საკვების გადაზიდვა დაუგვიანდა. ჩვენი მწყემსები საქმისათვის თავდადებული არიან, იფიქრებთ საგანგებოდ შეურჩევიათო, მაგრამ ზოგი კოლმეურნეობის ხელმძღვანელობა საკმაო მზრუნველობას ვერ იჩენს მათ მიმართ. წარმოიდგინეთ, აქა-იქ ჯერ კიდევ მოიპოვება ისეთი ბედოვლათი, რომელიც გეგმის ფორმალურ შესრულებას, მხოლოდ რიცხობრივ მაჩვენებლებს აქცევს ყურადღებას. ასეთმა ფორმალისტმა ოლონდ რაიკომს მოახსენოს, საძოვარზე ამდენ და ამდენ ცხვარს ვგზავნიო, იმას კი არ დაგიდევს, თუ რა მოუვა ცხვარს მგზავრობაში. გზადაგზა საძოვრები არა გვაქვს, სუსტი ცხვარი ვერ იტანს, ეცემა, მისი ტყავიც ღირებულებას კარგავს.

დავით გიგაური თორმეტი წელიწადია ამ დარგში მუშაობს. მისი მეტყველი სახის ყოველი ნაკვთი უმალვე გაგრძნობინებთ, თუ როგორ ღრმად უყვარს საქმე, როგორ შესტკივა მასზე გული. დავითს თმა ოდნავ შეჭირხვლია, მაგრამ მუდამ მხრებგაშლილია, მოძრავი, პირნათელი.

ტელეფონი აწკრიალდა. დავითი გაეპასუხა:

— ამ დილით ოცდაერთი და სამი მეათედი გრადუსი ყინვაა. გზაში ცხვარს უნდა მივეშველოთ, ბინების შეკეთება უნდა დაჩქარდეს...

ოთახში ტანსრული, სქელქურქიანი კაცი შემოვიდა. მას ვანო კობაიძე შემოჰყვა. ამ სიცოცხლით სავსე ჭაბუკის სახეზე ნაღვლიანი გამომეტყველების კვალიც აღარ დარჩენილიყო. თვალები უბრწყინავდა.

— მანქანა მზად არის. ახლავე წავლენ, — მიმართა დავითს სამანქანო სადგურის უფროსმა ირაკლი ქავთარაძემ.

კობაიძეს თითქოს ფრთები გამოესხა, ერთი კი შემოგვანათა დიდრონი, მოღიმარი თვალები და მყისვე კარს მიეფარა.

შემდეგ გავიგეთ, რომ ვანო კობაიძის ცხვრის ფარისთვის დროზე მიესწროთ, საკვები მიეშველებინათ, დასუსტებული ცხვარი ბინებამდის მანქანებით გადმოეყვანათ.

ჩვენ შესაძლებლობა გვქონდა დავკვირვებოდით ზამთრის საძოვრებზე სამანქანო სადგურის კოლექტივის ნაყოფიერ მუშაობას. სადგურის უფროსი— ირაკლი ქავთარაძე ამ დარგში დიდი ხანია მუშაობს და საკმაო გამოცდილება დაუგროვებია. იგი ნაცადი მექანიკოსი და გულისხმიერი ხელმძღვანელია. როგორც კარგად აწყობილი მოტორი, ისე შეწყობილად მუშაობს მთელი მისი კოლექტივი. საქმე კი ბევრი აქვთ: ზაფხულში ზამთრისათვის ცხვრის საკვები უნდა დაამზადონ, ბინებთან მიზიდონ, ბინების შესაკეთებელი მასალები მეტად ვრცელ მახეილზე მიიტანონ. ბინები აქ ერთმანეთს ათეული კილომეტრით არის დაშორებული. ამას გარდა, მექანიკოსები ცხვრის პარსვაში მანქანებით უნდა დაეხმარონ მწყემსებს. და ა. შ.

* * *

ჩორნი რინოკიდან მივდივართ ულანხოლში. მიჰქრის მატარებელი. ფანჯრიდან მოჩანან თოვლით გადაპენტილი ველები. აქა-იქ ცხვრის ფარები დამშვიდებული ზღვის ტალღებივით მილივლივებენ.

ვაგონში, რომელშიც ვიმყოფებით, უმრავლესობა მეცხვარეები არიან. ქართველი, დაღისტნელი, რუსი და ოსი მწყემსები, ფერმის გამგეები, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, ზოოტექნიკოსები და ვეტექიმები ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიან, ისინი უქმად არსად არ კარგავენ დროს. მეცხვარეებს აინტერესებთ ერთმანეთის ცხვრის ამბავი, დანაკარგზე თანაბრად დარდობენ, ერთმანეთს გამოცდილებას უზიარებენ.

მათი საუბრიდან ჩანს, თუ რა დიდი ბრძოლა უხდებათ მწყემსებს ბუნების სტიქიასთან.

— მწყემსი მუდამ უნდა ფხიზლობდეს, თორემ ერთი წუთი, და შეიძლება შემოდგომის ფოთოლივით ქარს გაჰყვეს მთელი შრომა, ამაგი. ამ რამდენიმე ხნის წინათ აქ, როცა ცხვარს მოვერეკებოდით, გზაზე საბინელი ამინდი დაგვიდგა. ნოღაის ველებს რომ მოვატანეთ, ქარიშხალი ამოვარდა, ცხვარს გაუქროლ-გამოუქროლა, შეეცადა ფარაში შეჭრას. მაგრამ ტიალ ქარიშხალს საკადრისად დავხვდით. მწყემსებმა ელვისებურად შემოვურბინეთ ფარას, ცხვარი ერთად შევაყუჩეთ, შევკრიბეთ. თავმოყრილ ფარას კი ქარიშხალი ვერაფერს აკლებს. ვინაცვალე ჩვენს მწყემსებს, ლომებივით არიან, — ამბობს ახმეტის რაიონის ზემო ალვანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ფერმის გამგე ლ. ქაადე.

— არც ჩვენ ჩამოგრჩებით, — სიტყვას უჭრის ახმეტის რაიონის სოფელ ხორხელის კოლმეურნეობის ფერმის გამგე ოსეფ იმერლიშვილი, — მთელი ასეული კილომეტრი ისე გამოვიარეთ, ერთი ცხვარიც არ დაგვიკარგავს. თუმცა, ეს რა სათქმელია, დღეს მწყემსმა სხვა რაზე უნდა იფიქროს, თუ არა ცხვრის კარგ მოვლაზე.

ბოლო სიტყვები ი. იმერლიშვილმა თითქოს უფრო მაღალი ხმით თქვა, იქვე მჯდომთ გადმოგვხედა, ჭაღარაშერთული ქოჩორზე ხელი გადისვა და თან დააყოლა:

— ჰე, აი ისეთი ხელშეწყობა რომ გვქონდეს, როგორც ჩვენს მეზობელ სტავროპოლის მხარის მწყემსებს აქვთ, უფრო უკეთესად მოვლილი ცხვარი გვეყოლებოდა.

— მაინც როგორ? — შევეკითხეთ.

— როგორ? სტავროპოლის მხარის მწყემსები, სადაც მიდიან, ურმებით კარვები და ფიცარი თან დაქვთ. როცა ცუდი ამინდი დაუდგებათ, განსაკუთრებით თუ ქარი ამოვარდება, ფიცრებს ქარის საწინააღმდეგოდ აიფარებენ, ცხვარს ქარისაგან იცავენ. იქაური მწყემსებს ცხელი საჭმელიც დროზე აქვთ, ყოველთვის თან დაქვთ მოძრავი სავალე სამზარეულო.

— განა ძნელია თქვენც შეიქმნათ ასეთი პირობები?

— ძნელი არ არის, მაგრამ...

აქ ოსებმა მძიმედ ამოისუნთქა და წუთით დადუმდა.

ამ წუთს ვინც დააკვირდებოდა, ოსების სახეზე აღვილად ამოიკითხავდა, რომ რაღაცა აწუხებდა, ხელს უშლიდა ნორმალურ მუშაობაში.

ფერმის გამგის დუმილი ახალგაზრდა მწყემსმა დაარღვია, რომელიც იქვე ახლოს იჯდა:

— ჩვენ ახლა აქ რა გვინდა. ჩვენი ცხვარი ნარი-ხუდოკის მიდამოებშია. ჩვენ ახლა ცხვართან უნდა ვიყოთ. იქ რამდენი საქმეა. კოლმეურნეობას ბინების მოსაწესრიგებლად ფული უნდა გადმოერიცხა, მაგრამ სად არის. ასე მივდივართ და მოვდივართ, ფული არა ჩანს, რომ მშენებლობისათვის საჭირო მასალა ვიყიდოთ.

* * *

რთულია მწყემსის ცხოვრება. აღვილი არ არის აქეთ-იქით ყინვის მათრახები ტყლაშუნობდნენ, ზამთრის ქარბუქი დაგელაობდეს, ხან თოვლსა და ხან ჭყაპში იდგე კომბლოთ ხელში და ცხვარს თავს დასტრიალებდე. მძიმეა, მაგრამ მწყემსი ყოველივეს იტანს იმ იმედით, რომ ცხვარი კარგად ეყოლება. მწყემსის გულს თუ ხანდახან აღონებს ზამთრის უამინდობა, სამაგიეროდ ხშირად ახარებს კარს მომდგარი გაზაფხულის დღეები, როდესაც დოლი იწყება. რა სჯობია, ახლად დაბადებული ბატკნები რომ ფეხს აიდგამენ და ახმიანდებიან!

— კაცი ცას ეწევა სიხარულით, როცა კარგად გამოკვებილ ცხვარს კარგი დოლი მოსდევს. ცხვარი ერთიორად მრავლდება, — ამბობს ახმეტის რაიონის სოფელ ზემო ალვანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე მწყემსი გიორგი ზარიძე, — ცხვარს ან ბატკანს როცა რამე ცუდი შეემთხვევა, იმ დღეს ჭკუაზე აღარა ვარ. ვფიქრობ, ამ სიშორეს წამოვსულვარ, ამდენი ცხვარი კოლმეურნეობას მოუნდვია, მე კი საჭირო ყურადღება ვერ მიმიქცევია. შარშან ცხვრის ნამატს გეგმა ჩვენმა ბრიგადამ 110 პროცენტით შეასრულა. კოლმეურნეობაში, სწორე გითხრათ, შუბლგახსნილი, ამაყად დავბრუნდი.

გიორგი ზარიძეს სიტყვას ართმევს მეორე მოწინავე მწყემსი — ადამ ჯიმშეიშვილი:

— წელს 120 პროცენტი ნამატი უნდა მიეიღოთ.

— შენ გეგონა, მაგაზე ნაკლებს ვიტყოდი, რომ სიტყვის თქმა აღარ მაცალე, ძმობილო? — უპასუხა გ. ზარიძემ

მეტყველ ექსპონატებთან

ნიზამი განჯელის მუზეუმში

მეთორმეტე საუკუნეში ქალაქი განჯა აზერბაიჯანის ერთ-ერთი უდიდესი კულტურული და ეკონომიური ცენტრი იყო. ამ ქალაქმა აზერბაიჯანს მისცა ბევრი შესანიშნავი ადამიანი, რომელთა შორის განსაკუთრებით სახელგანთქმული იყო ნიზამი განჯელი.

ქ. ბაქოში ამ დიდი პოეტის მუზეუმის შენობა ქალაქის მშენებლას წარმოადგენს. იგი მის ცენტრში დგას და იპყრობს ყველა ამათ ყურადღებას, ვინც საბჭოთა აზერბაიჯანში, მის დედაქალაქ ბაქოში ჩამოდის. შენობა აგებულია აზერბაიჯანული არქიტექტურის სტილის მიხედვით. საბჭოთა მთავრობამ არ დაიშურა სახსრები დიდი აზერბაიჯანელი პოეტი-პატრიოტის ნიზამი განჯელის უდიდესი და მშვენიერი ძეგლის ასაგებად.

ნიზამის მუზეუმი ბაქოში შეიქმნა და გაიხსნა 1945 წელს. აქ თხუთმეტ დიდ დარბაზში (ოთხ განყოფილებაში) გამოფენილია მრავალი ექსპონატი, რომლებიც მოწმობენ აზერბაიჯანელი ხალხის მაღალ კულტურას XII საუკუნეში.

მუზეუმის პირველი განყოფილება წარმოდგენას გვაძლევს აზერბაიჯანელი ხალხის ისტორიასა და კულტურაზე უძველესი დროიდან XII საუკუნემდე. მეორე განყოფილება მიძღვნილია აზერბაიჯანის ისტორიისა და ყოფაცხოვრებისადმი XII საუკუნეში. მესამე განყოფილებაში ექსპონირებულია ნიზამის თანამედროვეთა, მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის დამახასიათებელი მასალები. დასასრულ, მეოთხე განყოფილებაში მოთავსებულია უძვირფასესი მასალები, რომლებიც მიძღვნილია თემისადმი: „ნიზამი და ჩვენი თანამედროვეობა“.

მუზეუმის ყველა განყოფილებაში გამოფენილია შესანიშნავი ექსპონატები, რომლებიც შეკრიბეს აზერბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიურმა ექსპედიციებმა.

აქ არის აზერბაიჯანელ მხატვართა ნამუშევრები, რომლებიც გვისურათებენ აზერბაიჯანის ძველ ქალაქებს, მათ ყოფაცხოვრებას, კულტურასა და არქიტექტურას. ამ ძველი განჯის პანორამა. XII საუკუნეში ქალაქი განჯა აზერბაიჯანის ერთ-ერთი უდიდესი კულტურული და ეკონომიური ცენტრი იყო.

მუზეუმის მესამე განყოფილებაში გამოფენილია მთელი რიგი უძვირფასესი დოკუმენტები და ხელნაწერები, ექსპონატები, რომლებიც დაკავშირებულია ნიზამის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან. აქ არის უზბეკი პოეტის ალიშერ ნავოის, ტაჯიკი პოეტის ჯამის, ინდოელი პოეტის ხოსროვ დაჰლევის და სხვათა მთელი რიგი ხელნაწერები, რომლებშიც ბევრი რამ აღნიშნულია ნიზამი განჯელის შემოქმედების შესახებ. ამ განყოფილებაში იპყრობს მთელ რიგ მსოფლიო გენიოსთა პორტრეტები.

მუზეუმის მეოთხე განყოფილება „ნიზამი და ჩვენი თანამედროვეობა“ გიახლნა პოეტის გარდაცვალების 750 წლისთავთან დაკავშირებით. აქ მდიდრულად ილუსტრირებულია დოკუმენტები, ნიზამი განჯელის ნაწარმოებები ქართულად

12.000 კილომეტრი საბჭოთა კავშირში

ინტერვიუ არგენტინის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩთან ბ-ნ ლეონოლდო ბრავოსთან

კითხვა. *თქვენ საბჭოთა კავშირში იმოგზაურეთ. რა ქალაქებზე გადიოდა თქვენი მარშრუტი?*

პასუხი. 18 ოქტომბერს მე დავიწყე ხანგრძლივი მოგზაურობა საბჭოთა კავშირში. ჩემ მიერ არჩეული მარშრუტი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქსა და რაიონზე გადიოდა. ვიფრინე თვითმფრინავებით, ვიმგზაურე მანქანებით, ავრეთვე გემებით, გადავსერე საბჭოთა ქვეყნის უზარმაზარი სივრცეები.

პირველი დიდი ქალაქი, სადაც მე ჩავედი, სტალინგრადი იყო. იქიდან გავემგზავრე ბაქოში და საბჭოთა აზერბაიჯანის ცხოვრების დეტალურად გაცნობის შემდეგ წავედი უზბეკეთის დედაქალაქში—ტაშკენტში. ტაშკენტიდან გავემართე საქართველოს დედაქალაქ თბილისში, შემდეგ კი — სუხუმში, შავი ზღვის სანაპიროზე. სუხუმიდან თბომავალ გემ „გრუზითით“ ჩავუარე კავკასიის სანაპიროს, ვჩერდებოდი სხვადასხვა ქალაქსა და დასახლებულ პუნქტში. ავტომობილით მგზავრობამ საშუალება მომცა გავჩერებულიყავი ყოველ რაიონში, სადაც კი მსურდა. სოჭიდან ჩავედი ტუაფსეში, შემდეგ — ნოვოროსიისკში; იქ დავჯექი გემზე, რომელმაც მიმიყვანა ყირიმის ერთ-ერთ უდიდეს კურორტზე — იალტაში. იალტის შემდეგ ვინახულე ევპატორია, შემდეგ კი ძველ გემზე დავჯექი და ოდესაში ჩავედი. იქიდან თვითმფრინავით წავედი კიევში. მოსკოვს დავბრუნდი ნოემბრის დამლევს.

უნდა ვთქვა, რომ ეს უაღრესად სასიამოვნო და საინტერესო მოგზაურობა იყო, რომელმაც საშუალება მომცა დეტალურად გავცნობოდი საბჭოთა სახელმწიფოს ცხოვრებას.

კითხვა. *რამ მოახდინა თქვენზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება იმ ქალაქებსა და რაიონებში, რომლებიც ინახულეთ?*

პასუხი. ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არც თუ ადვილია, რადგან ძალიან ბევრი რამ საინტერესო ვნახე. ჩემზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა სტალინგრადმა, სადაც შესაძლებლობა მქონდა დეტალურად გავცნობოდი ქალაქის აღდგენის სამუშაოებს. ქალაქის არქიტექტორებმა მაჩვენეს ყველაფერი, რის ნახვაც კი მოვისურვე. ხომ ცნობილია, რომ სტალინგრადი მთლად დაანგრია გერმანიის არმიამ. ახლა მე ვნახე, რომ 60 კილომეტრის მანძილზე ვოლგის ნაპირის გაყოლებით აგებულია ახალი ქალაქი, სადაც მრავალი მშვენიერი საცხოვრებელი სახლი, დაწესებულება, სასპორტო დარბაზი, კულტურის სასახლე და კლუბი. ვიყავი აგრეთვე სტალინგრადის თეატრში, რომელმაც ჩემზე საუცხოო შთაბეჭდილება მოახდინა.

სტალინგრადში ყოფნის დროს ერთი დღე ჩემი დროის ბიუჯეტიდან ამას მოკლდომე, რომ დამეთვალიერებინა ვოლგა-დონის არხი. ჩვეულებრივი საექსკურსიო გემით ვიმგზავრე პირველ რაბამდე, შემდეგ კი—მესამე რაბამდე. ვფიქრობ, რომ ვოლგა-დონის არხი მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ხელოვნური სანაოსნო მაგისტრალია. ვოლგა-დონის არხის მნიშვნელობა მარტო ის კი არ არის, რომ იგი ხუთ ზღვას აერთებს. იგი დიდ როლს ასრულებს სტალინგრადის გვალვიანი ველების რაიონში მიწის მნიშვნელოვანი მასივების წყლით უზრუნველყოფის საქმეში.

არხზე მოგზაურობის შემდეგ კვლავ დავბრუნდი სტალინგრადში და ერთხელ კიდევ დავთვალიერე ქალაქი, რომლის სრული რეკონსტრუქცია ისე მოკლე ვადაში განხორციელებულა. სტალინგრადიდან გავემგზავრე ბაქოში, იქიდან კი — ნავთობის კოშკურების რაიონში, რომელმაც ჩემზე ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მე ამიხსნეს, რომ ბაქოს ნავთობსარეწებზე სამუშაოები მთლიანად მექანიზებულია.

რა მომხვდა თვალში უწინარეს ყოვლისა? უდიდესი სანაოსნო მშენებლობა. ბაქო ძალიან ლამაზია. სახლები აგებულია ადგილობრივი მასალებისაგან, ეროვნული გემოვნებით. ბაქოში ვინახულე ნიზამის მუზეუმი. აზერბაიჯანში, ისევე როგორც ყველგან, სადაც მე ვიყავი, უურადღება მიიპყრო ამ ფაქტმა, რომ ეროვნული რესპუბლიკების სკოლებში სწავლება ორ ენაზეა — ადგილობრივ ეროვნულ ენასა და რუსულ ენაზე. ჩემზე უაღრესად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ძველი ეროვნული ძეგლებისათვის ზრუნვამ და ადგილობრივი ეროვნული ტრადიციების დაცვამ, ეროვნული კულტურის განვითარებამ. ბაქოს თეატრში დიდი სიამოვნებით ვნახე „ოტელო“ პირველხარისხოვან მსახიობთა შესრულებით.

დასახლება მარშრუტმა ბაქოს შემდეგ უზბეკეთის დედაქალაქში მიმიყვანა. განსაკუთრებით მაინტერესებდა მენახა ეს ქალაქი, ვინაიდან პირველად მომეცა შესაძლებლობა ყოფილიყავი შუა აზიაში. აქ, ისევე როგორც ყველგან, გაოცებს საბინაო და კულტურული მშენებლობის უდიდესი გაქანება. ტაშკენტში ძალიან მოგმეწონა ეროვნული მოტივების გამოყენება არქიტექტურაში. მე ამიხსნეს, რომ 20-იან წლებში არქიტექტორები გატაცებული იყვნენ „კუბიზმით“ და კოლოფის მსგავს სახლებს აშენებდნენ. ახლა ამაზე ხელი აიღეს. ქალაქში აგებულია ლამაზი დიდი შენობები.

უზბეკეთი ამაყობენ თავიანთი დედაქალაქით და მიაჩნიათ, რომ ტაშკენტი მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე გაფრენიანებული ქალაქია. ვიყავი განთქმულ აღმოსავლეთის ბაზრებსა და მაღაზიებში, სადაც ვნახე უამრავი საქონელი, ხილი. უნდა აღინიშნოს, რომ ხალხის ცხოვრების დონე ძალიან მაღალია.

ტაშკენტში ვინახულე ეროვნული საოპერო თეატრი. როგორც მიამბეს, ამ თეატრის მშენებლობაში, მის არქიტექტურულ გაფორმებაში მონაწილეობას იღებდნენ საუკეთესო სპეციალისტები სამარყანდიდან, ბუხარიდან და უზბეკეთის სხვა სახელგანთქმული მხატვრები. ვფიქრობ, რომ ტაშკენტის საოპერო თეატრი ყველაზე ლამაზია იმათგან, რომლებიც საბჭოთა კავშირში ვნახე.

უზბეკეთში, ისევე როგორც აზერბაიჯანში, ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ზრუნვამ ეროვნული კულტურის ძეგლების დაცვისათვის. ვინახულე უზბეკეთის ეროვნული მუზეუმი. შესაძლებლობა მქონდა გაეცნობოდი მის მრავალ ექსპონატს, მესაუბრნა სხვადასხვა ადამიანებთან.

კითხვა. *რა შთაბეჭდილება მოახდინა თქვენზე საბჭოთა საბრძოლმა?*

პასუხი. ამ კითხვაზე რომ გიპასუხოთ, თვალი უნდა გავაყოლოთ ჩემი მოგზაურობის მარშრუტს. ტაშკენტიდან საქართველოს დედაქალაქ თბილისში წავედი. საქართველო ძალიან მაინტერესებდა, კერძოდ იმიტომ, რომ ბუნებისა და ჰავის მიხედვით იგი ძალიან ჰგავს არგენტინას. როცა სსრ კავშირში ჩამოვედი და გენერალისიმუსი ი. ბ. სტალინი ვინახულე, დავბერდი მას, რომ საქართველოს ვნახავდი. ახლა ეს შევასრულე.

საქართველოში რამდენიმე საუცხოო დღე გავატარე. ქართველები გარეგნულად ძალიან ჰგვანან არგენტინელებს. საერთოდ ბევრი რამ, რასაც გარშემო ვხედავდი, ჩემს ქვეყანას მაგონებდა. თბილისი მაღალი მთებით გარშემორტყმული მომხიბლავი ქალაქია. საქართველოს დედაქალაქში ნათლად ჩანს ორი ნაწილი: ძველი და ახალი ქალაქი. იქიც, ისევე როგორც ყველგან, ვხედავდი მშენებლობის უზეკეთესად გაქანებას. აქ ბევრი საუცხოო სახლია, არის უნივერსიტეტი, რომელსაც რამდენიმე კორპუსი უჭირავს, და 36 ტექნიკური ინსტიტუტი. თბილისში ვიყავი ორ მონასტერში, აგრეთვე გავეცანი ძველ ძეგლებს. ზოგიერთი მათგანი, როგორც მითხრეს, რამდენიმე ათასი წლის წინათ არის აგებული. ესენია მონუმენტური ნაგებობანი ან კოშკები. ისინი განკუთვნილი იყო ფეოდალური მეზობლებისგან თავდასაცავად, რომლებიც ხშირად ესხმოდნენ თავს საქართველოს.

თბილისიდან მანქანით წავედი ი. ბ. სტალინის სამშობლო ქალაქ გორში. ეს ქალაქი, რომელიც დაახლოებით 30 ათასი მცხოვრებია, ძალიან ლამაზია. მან მომაგონა არგენტინის პატარა ქალაქი, რომელიც მე დავიბადე. გორში ვიყავი პატარა ოროთახიან სახლში, სადაც ი. ბ. სტალინი დაიბადა. ი. ბ. სტალინის მშობლებს ოდესღაც აქ მხოლოდ ერთი ოთახი ეკავათ. 1934 წელს გენერალისიმუსის დედამ სახლში ყველა ნივთი ისე დალაგა და საგნები ისე დააწყო, როგორც ისინი სტალინის ბავშვობაში იყო.

გორიდან კვლავ დავბრუნდი თბილისში, სადაც შესაძლებლობა მქონდა კიდევ უფრო დაწვრილებით გავცნობოდი საქართველოს დედაქალაქის ცხოვრებას. ჩემი აზრით, საქართველოში ძალიან მაღალია კულტურა და ძალიან მაღალია მოსახლეობის ცხოვრების დონე. ყველგან ატარებელი საქონელია, სრული სიუხვე ჩანს. თვალში მომხვდა ის ფაქტი, რომ ქართველებს ხორცი უყვართ და ბევრ ღვინოს სვამენ, ისევე როგორც არგენტინელები.

თბილისის რაიონში ვიყავი დიდი ტბის, ეგრეთწოდებული თბილისის ზღვის მშენებლობაზე. ამ ტბის წყალი მორწყავს რაიონებს საქართველოს დედაქალაქის გარშემო. ერთ საღამოს ვიყავი თეატრში, სადაც მოვისმინე ოპერა „აბესალომ და ეთერი“. გამოაცა დიდებულმა ეროვნულმა ტანსაცმელმა და უმდიდრესმა დეკორაციებმა. ოპერა წმინდა ეროვნული გემოვნებით არის დადგმული და მან ჩემზე საუცხოო შთაბეჭდილება მოახდინა.

თბილისიდან გავემგზავრე საქართველოს სამხეთრო გზით, შემდეგ კი წავედი შავი ზღვის სანაპიროზე. ვფიქრობ, რომ შავი ზღვის სანაპირო ლ, კერძოდ, სოჭის კურორტის რაიონი, ერთ-ერთი ულამაზესია მსოფლიოში. ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მრავალმა სასახლე-სანატორიუმმა და დასასვენებელმა სახლმა, რომლებშიც ისვენებენ მუშები, გლეხები, ინტელიგენცია. როგორც მითხრეს, აქ სამკურნალოდ და დასასვენებლად ჩამოდიან საბჭოთა ქვეყნის ყველა კუთხიდან. სანატორიუმებს ყველა საჭირო სამედიცინო მოწყობილობა აქვთ.

სოჭის რაიონიდან წავედი სუხუმში, სადაც ვინახულე უმშვენიერესი ბოტანიკური ბაღი, რომელშიც არის მსოფლიოს ყველა ქვეყნის, მათ შორის არგენტინის მცენარეები. სხვათა შორის, სუხუმის ბოტანიკურ ბაღში იზრდება კორტადერა. სუხუმში იგი დეკორაციული მცენარეა, არგენტინაში კი კორტადერა ფართოდ არის გავრცელებული. სუხუმშივე ვნახე განთქმული მაიმუსებიანი, რომელშიც 500-ზე მეტი მაიმუნია. მაიმუნებზე ახდენენ ცდებს სხვადასხვა დაავადების შესწავლისა და ამ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით.

ქაკასიის ლამაზ სანაპიროზე მგზავრობის შემდეგ გემით წავედი იალტაში. აქ სხვათა შორის ვნახე განთქმული სასახლე, სადაც მოვიხმინე ოპერა „აბესალომ და ეთერი“. გამოაცა დიდებულმა ეროვნულმა ტანსაცმელმა და უმდიდრესმა დეკორაციებმა. ოპერა წმინდა ეროვნული გემოვნებით არის დადგმული და მან ჩემზე საუცხოო შთაბეჭდილება მოახდინა.

ჩემი შემდგომი მარშრუტი იყო ოდესის მიმართულებით, რომელიც უკანასკნელად 1947 წელს ვნახე. მაშინ ამ ქალაქს ომის მრავალი კვალი აჩნდა. ახლა კი ვნახე ქალაქი, რომელსაც ომით მიყენებული ჭრილობები მთლიანად მოუშუშებია. ოდესაში ხორციელდება სახლებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებების დიდი მშენებლობა. აქ ავრეთვე ვნახე ოლატოვის განთქმული თვალის ინსტიტუტი, შემდეგ კი წავედი არკადიის რაიონში, სანაპიროზე, სადაც მრავალი საუცხოო სანატორიუმი და დასასვენებელი სახლია.

ოდესისა და მისი მომიჯნავე რაიონების გაცნობის შემდეგ კიევში გავფრინდი. ქალაქი შენდება. ბევრი ეუჩა უკვე მთლად აღდგენილია ომის შემდეგ, ბევრი ჯერ კიდევ ხარაჩოებშია. საბინაო მშენებლობა ჩვეულებრივი წესით რიდი მიმდინარეობს. დიდ საცხოვრებელ კორპუსებს შუა ტოვებენ საკმაოდ დიდ მოედნებს გასაშენებლად. ეს კიევს კიდევ უფრო ლამაზ ქალაქად ხდის. მე ვიყავი კიევის საუცხოო პარკებში, რომლებიც დნეპრისაკენ ეშვებიან, ვიყავი ჰლაკებზე. ამ მრავალ ძეგლს შორის, რომლებიც მე ვინახულე, იყო კიევ-პეჩორის ლავრა მისი კატაკომბებით. ბერებთან ერთად წავედი გამოქვაბულებში, სადაც წმიდანების ნეშტი ასვენია. რა საკვირველია, რომ გერმანელებს ასე ძლიერ დაუნგრევიათ კიევის განთქმული ძველი ძეგლები. მაგრამ ახლა აქ დიდი აღდგენითი სამუშაოები წარმოებს, რომლებშიც მონაწილეობას იღებენ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებიდან ჩამოსული სპეციალისტები. შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ რამდენიმე წლის შემდეგ მოხერხდება ყველა ამ ძეგლის რესტავრაცია.

უკრაინის დედაქალაქში რამდენიმე დღე გავატარე და შემდეგ მოსკოვში დავბრუნდი. მინდა ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ყველგან, სადაც კი ვიყავი, თვალში მხვდებოდა ეროვნული კულტურის აყვავება, ცხოვრების მაღალი დონე, დიდი მშვიდობიანი შემოქმედებითი მუშაობა. ეს იყო ხანგრძლივი და ფრიად საინტერესო მოგზაურობა. რომელმაც შესაძლებლობა მომცა გავცნობოდი საბჭოთა ქვეყანას და საბჭოთა ადამიანების ცხოვრებას.

„News“ № 23.

გადმობეჭდილია გაზეთ „ტრუდიდან“.

ჩვენი კალენდარი

ვ. ჩკალოვი

თხუთმეტი წლის წინათ ბრმა შემთხვევამ ჩვენს ქვეყანას ხელიდან გამოსტაცა სოციალისტური სამშობლოს მგზნებარე პატრიოტი, ამაყი შავარდენი — საბჭოთა კავშირის გმირი ვალერი პავლეს-ძე ჩკალოვი.

მთელ ჩვენს ქვეყანას, მთელ მსოფლიოს ახსოვს ის შესანიშნავი გაფრენა, რომელიც ვალერი ჩკალოვმა მოახდინა 1936 წელს თავის ამხანაგებთან — ბაიდუკოვთან და ბელიაკოვთან ერთად.

მთელ ჩვენს ქვეყანას, მთელ მსოფლიოს ახსოვს, თუ როგორ მეთაურობდა უშიშარი შავარდენი 1937 წლის ივლისში ეკიპაჟს, რომელმაც კაცობრიობის ისტორიაში პირველმა მოახდინა ლეგენდარული გადაფრენა მოსკოვიდან ჩრდილოეთის პოლუსით ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ტრანსარქტიკული გადაფრენის პიონერებმა ჩკალოვმა, ბაიდუკოვმა და ბელიაკოვმა, რომლებმაც თავიანთი გმირობითა და სიმამაცით აღტაცებაში მოიყვანეს მთელი კაცობრიობა, მსოფლიოს ყინულოვან თაღს გადაუქროლეს და 63 საათსა და 25 წუთში დაფარეს ათი ათას კილომეტრზე მეტი მანძილი.

ვალერი ჩკალოვმა ცხოვრების დიდი და ნათელი გზა განვლო. იგი დაიბადა 1904 წელს გორკის ოლქის სოფელ ვასილევო-სლობოდაში, მექვაბის ოჯახში. დამოუკიდებელი ცხოვრება 13 წლის ასაკიდან დაიწყო. მეუროე, ცეცხლფარეში, წითელი არმიის მოხალისე, ბორტმექანიკოსი და, ბოლოს, მფრინავი-გადამცდელი — ვალერი ჩკალოვი თავისი განსაკუთრებული შრომისმოყვარეობით აოცებდა ყველას.

გავიდა 15 წელი ვალერი ჩკალოვის დაღუპვიდან. ამ ხნის მანძილზე დიდად გაიზარდა და კიდევ უფრო სრულყოფილი გახდა საბჭოთა ავიაცია.

ვ. პ. ჩკალოვის ხსოვნას

15 დეკემბერს სრულდება თხუთმეტი წელიწადი მას შემდეგ, რაც დაიღუპა ჩვენი დროის დიდი მფრინავი ვ. პ. ჩკალოვი. დედაქალაქის კლუბებში და მოსკოვის გარნიზონის ოფიცერთა სახლებში იმართება ამ თარიღისადმი მიძღვნილი საღამოები, ლექციები და მოხსენებანი.

13 დეკემბერს მ. ვ. ფრუნზეს სახელობის ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის ცენტრალურ სახლში გაიმართა ვ. პ. ჩკალოვის ხსოვნის საღამო. ვ. პ. ჩკალოვის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მოხსენება გააკეთა საბჭოთა კავშირის გმირმა მ. ტ. სლუნჩოვმა.

ვ. პ. ჩკალოვის შესახებ მოგონებანი წაიკითხეს საბჭოთა კავშირის გმირებმა გ. თ. ბაიდუკოვმა და ა. ვ. ბელიაკოვმა.

ეროვნული თვითმყოფადობა

ეროვნული კულტურა

ეროვნული ენა

ეროვნული ლიტერატურა

ეროვნული ფერწერა

ეროვნული ტანსაცმელი

ეროვნული ტანსაცმელი

ეროვნული ტანსაცმელი

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში

მრეწველობის განვითარება ჩინეთში

პეკინი. (საკდესი). გაზეთი „ჟენმინჟიბაო“ იუწყება, რომ განვლილი ოთხი წლის მანძილზე ჩინელ მშრომელთა თავდადებული მეცადინეობით სამრეწველო წარმოება ჩინეთში არა მარტო აღდგენილია, არამედ კიდევაც გადაჭარბა ყველაზე მაღალ დონეს ჩინეთის ისტორიაში, ჩინეთის მთელ სახალხო მეურნეობაში სამრეწველო წარმოების წილმა ამჟამად 28 პროცენტს მიაღწია.

სწრაფად ვითარდება მრეწველობის სოციალისტური სექტორი. სახელმწიფოს ხელშია ჩინეთის ყველა მსხვილი სამრეწველო საწარმოს 50,7 პროცენტი. სახელმწიფო და კოოპერაციულ საწარმოთა შემოსავალმა უკვე 1952 წელს შეადგინა სახელმწიფოს მთელი შემოსავლის ნახევარზე მეტი.

თუ 1948 წელს ჩინეთის საწარმოებში სულ 2.400 ათასი მუშა-მოსამსახურე იყო, 1952 წელს მათმა რიცხვმა 15 მილიონს გადააჭარბა.

საბინაო მშენებლობა რუმინეთში

ბუქარესტი, 14 დეკემბერი. (საკდესი). სახალხო-დემოკრატიულ რუმინეთში დიდი საბინაო მშენებლობაა გაჩაღებული. უკანასკნელი წლების მანძილზე ახალი კეთილმოწყობილი სახლების, მთელი უბნები აშენდა ბუქარესტში, რეშიცაში, ქალაქ სტალინში, ბიკაზში, ტურდასა და სხვა ქალაქებში. მეშახტეთა ახალი დაბები გაჩნდა ვალია-ჟიულუის ქვანახშირის აუზში. რუმინეთში 1949 წლიდან 1953 წლამდე სულ აშენდა 1.730 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. 1955 წელს — ხუთწლიანი გეგმის დამლევისათვის ბინას მიიღებს მშრომელთა კიდევ 50 ათასი ოჯახი.

სახელმწიფო კრედიტს აძლევს მუშებს, კოლექტიურ სასოფლო მეურნეობათა წევრებს და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაკებს ინდივიდუალური სახლების ასაშენებლად.

არცთუ დიდი ხნის წინათ მინის ნაწარმი რუმინეთში საზღვარგარეთიდან შეჰქონდათ. ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის მეოხებით მდგომარეობა ძირეულად შეიცვალა. ახლა რუმინეთის სახალხო რეხპუბლიკის მინის მრეწველობა არა მარტო საშინაო მოთხოვნილებას აკმაყოფილებს, არამედ ნაწარმის საზღვარგარეთ გატანასაც უზრუნველყოფს. ელნათურების დამამზადებელი ერთ-ერთი მოწინავე საწარმოა ქარხანა „ელექტროფარი“. ამ ქარხნის ბევრი მუშა გადაჭარბებით ასრულებს ნორმებს. სურათზე: ქარხანა „ელექტროფარის“ მუშა მ. ხობეილე, რომელიც თავის ნორმას 90 პროცენტის გადაჭარბებით ასრულებს.

ფოტო რუმინეთის დეპეშათა სააგენტოსი.

სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობა რუმინეთსა და ჩინეთს შორის

ბუქარესტი. (საკდესი). ამას წინათ ბუქარესტში გაიმართა რუმინეთ-ჩინეთის სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის შერეული კომისიის პირველი სესია. ხელმოწერილ ოქმში ორივე მხარე ვალდებულებას კისრულობს გაუწიონ ერთმანეთს დახმარება მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების დარგში გამოცდილებისა და ტექნიკური დოკუმენტაციის გაცვლის გზით.

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისაგან მიიღებს მაგარ შენადნობთა, პენიცილინის, ტუშის წარმოების, ბუხის აბრეშუმის ჭიის გამოყვანისა და მიღებული ნედლი აბრეშუმის გადამუშავების ტექნიკურ დოკუმენტაციას, აგროტექნიკურ დახმარებას გაოლიანის, ურწყავი ბრინჯის მოყვანაში, სხვადასხვა ჯიშის ხეხილის გაშენებაში მათი აკლიმატიზაციისა და სოფლის მეურნეობაში დანერგვის მიზნით და სხვ.

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას მისცემს ნავთობმომპოვებელი და ნავთობგადამამუშავებელი მრეწველობისათვის მოწყობილობის დაპროექტებისა და წარმოების ტექნიკურ დოკუმენტაციას.

ქვანახშირის ახალი კომბაინი ჩეხოსლოვაკიაში

პრაღა. (საკდესი). ოსტრავსკა-კარვინის ქვანახშირის აუზის იულიუს ფუჩიკის სახელობის შახტის მთავარმა მექანიკოსმა შეიტანეთ შექმნა შტრეკების გასაყვანი კომბაინი. მანქანის გამოცდამ კარგი შედეგი მოიტანა. 1,6 მეტრი სიმძლავრის ქვანახშირის ფენაში კომბაინი 10 წუთში გადიოდა 1 მეტრს.

ნიზამი განჯელის ნაწარმოებები ქართულად

გამოჩენილი აზერბაიჯანელი პოეტის ნიზამი განჯელის ნაწარმოებებს საქართველოში აცნობდნენ ჯერ კიდევ მის სიცოცხლეში. ნიზამის პოემების პერსონაჟებს ასახელებენ XII-XIII საუკუნეების პოეტები ჩახრუხაძე, შოთა რუსთაველი, აგრეთვე თამარის ისტორიკოსი. მაგრამ ნიზამის პოემების უძველეს თარგმანებს ჩვენამდე არ მოუღწევია. ისინი სხვა მრავალ ქართულ ძეგლთან ერთად დაიღუპა მონღოლთა შემოსევების დროს.

ნიზამის შესწავლისადმი ინტერესი არ შეწყვეტულა შემდგომშიც — XVI-XVIII საუკუნეებშიც. ამ დროს ქართულად თარგმნილია ისეთი პოემები, როგორიც არის „ხოსროვი და შირინი“, „ლეილი და მაჯნუნი“, „შვიდი შეხვედრა“. უკანასკნელის მთარგმნელი ნოდარ ცაცუშვილი ნიზამის უწოდებს „ბრძენთა ბრძენს“.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კიდევ უფრო გაცხოველდა ინტერესი მოძმე აზერბაიჯანელი ხალხის დიდი შორის აზერბაიჯანელი ხალხის ცხოვრების დონისა და კულტურის ამაღლებისათვის. ფართოდ არის წარმოდგენილი სხვადასხვა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევის მასალები.

მუზეუმში განსაკუთრებული ადგილი უკავია საბჭოთა აზერბაიჯანის სახვითს ხელოვნებას. აქ ნიზამის გვერდით ჰკიდია დიდი ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის, მ. ფ. ახუნდოვის, ა. აზვერდოვისა და სხვათა პორტრეტები. აქ მნახველებს შეუძლიათ გაეცნონ ნიზამის ნაწარმოებთა ილუსტრაციებს, რომლებიც შესრულებულია აზერბაიჯანის საბჭოთა მხატვრების მიერ.

ნიზამის უყვარდა უბრალო ადამიანები და ახლო ურთიერთობა ჰქონდა ქალაქის მშრომელ ფენებთან, ხშირად ხედებოდა მათ, მოუწოდებდა გამოეჩინათ გამბედაობა და მოეხდინათ ცხოვრებაზე აქტიური ზემოქმედება. იგი მაშინდელ მმართველებს მოუწოდებდა სამართლიანობისაკენ, კი არ დაეჩაგრათ ხალხი, არამედ მისი კეთილმყოფელნი ყოფილიყვნენ. ნიზამის ყველა ეს უკეთილშობილესი თვისება ასახულია აზერბაიჯანელ მხატვართა ნაწარმოებებში.

მუზეუმის ექსპონატებით ვეცნობით ნიზამის დროინდელ ცხოვრებას, თუ როგორ უმღეროდა იგი იდეებს, რომლებითაც სულდგმულობდნენ იმ დროის მოწინავე ადამიანები.

მნახველება ინტერესით ათვალიერებენ სამედ ვეუბეთის პიესის „ხოსროვ და შირინის“ (ნიზამის ნაწარმოების მიხედვით) ილუსტრაციებს. „ხოსროვი და შირინი“ სიმღერაა ადამიანის გრძნობების ყოვლისმძლე ძალაზე და სიყვარულის გამარჯვებაზე. ამ ნაწარმოების იდეური შინაარსი ნაკარნახევი იყო ადამიანთა არსებობის უკეთესი პირობებისათვის ბრძოლით, პროგრესული იდეალებისათვის აზერბაიჯანელი ხალხის მოწინავე ფენების მისწრაფებით.

მუზეუმში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ნიზამის რომანის „შვიდი მზეთუნახავის“ ილუსტრაციებს (მაკეტები ყარა ყარაევის ბალეტიდან და სხვ.). „შვიდი მზეთუნახავი“ პოეტის ერთ-ერთი გრანდიოზული ქმნილებაა.

ნიზამის მუზეუმში მრავალი უძვირფასესი ექსპონატი, ხელნაწერი და ნაწარმოებია.

პარტიამ და მთავრობამ ბევრი ღონისძიება განახორციელეს ნიზამის ხსოვნის უკვდავსაყოფად. ამის დადასტურებაა მისი მუზეუმის შესანიშნავი შენობა ბაქოში, მისი ძეგლები ბაქოში, კიროვობაღში, ყაზანში, მისი მავზოლეუმი კიროვობაღში.

ნიზამის ხსოვნა ცოცხლობს მილიონობით მშრომელთა გულში, რომლებიც მტკიცედ მიდიან ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვებისაკენ.

მ. მურადოვი.

ნიზამი განჯელის ნაწარმოებები ქართულად

და თითქოს საყვედურით გადახედა ახალგაზრდა ადამს.

სოფელ ზემო ალვანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის 22-ე ბრიგადაში, რომელსაც ალექსი ჩიხოშვილი ხელმძღვანელობს, ყველაზე ახალგაზრდა ადამ ჯიმშეიშვილია. ათი წლის წინათ, როდესაც დიდი სამამულო ომის ცეცხლი გიზგიზებდა, 15-16 წლის ჭაბუკი გვერდში ამოუდგა გამოცდილ მწყემსებს. ან კი სახლში რა გააჩერებდა მაშინ, როდესაც სამშობლო საფრთხის წინაშე იდგა. ის უკვე შეათე წელია კოლექტივის ცხვარს უვლის ადამ ჯიმშეიშვილი. ვინ დათვლის რამდენი ცხვარი, რამდენი ბატკანი მიუცია დედა-სამშობლოსათვის!

* * *

ცივა. ყინვა ძვალსა და რბილში ატანს. ერთი შეხედვით იტყვი, ამ ყინვაში ცხვარი როგორ სძლებს ან რას სძოვს, ველები თოვლით არის დაფარული. შეეჩვია ქართული ცხვარი ჩრდილოეთ კავკასიის მკაცრი ბუნების პირობებს. რაგინდ თოვლით იყოს ბალახი დაფარული, ცხვარი მიაგნებს, წინა ფეხით გადაქექავს თოვლს და გემრიელად შეექცევა ხან წითელწვერას, ხან მიწაზე გართხმულ კუტი-მლაშეს, ხანაც ავშანს.

მიუხედავად იმისა, რომ ულან-ხოლის, ნარი-ხუდოკის და მეკლეტას მიდამოებში წყალი

გაიხსნა საფრანგეთის მშვიდობის მომხრეთა ეროვნული კონფერენცია

პარიზი, 12 დეკემბერი. (საკდესი). ღღეს პარიზში გაიხსნა მშვიდობის მომხრეთა ეროვნული კონფერენცია. კონფერენციის შუშაობაში მონაწილეობას იღებს საფრანგეთის ყველა რაიონიდან ჩამოსული 500 დელეგატი. ღღის წესრიგში შეტანილია ორი საკითხი: 1. მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესიის მუშაობა და ფრანგი ხალხის ბრძოლა საფრანგეთის უშიშროების უზრუნველყოფისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის. 2. მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის ორგანიზაციული ფორმები და ღონისძიებანი, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ საფრანგეთში წარმოებული კამპანიის უაღრესად ფართოდ გაშლა და ქმედითობა.

ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო კრეზიდენტ ხო ში მინის ინტერვიუს შესახებ

შანხაი, 13 დეკემბერი. (საკდესი). ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტომ გადასცა სტატია სათაურით „შვედური გაზეთის კორესპონდენტისადმი პრეზიდენტ ხო ში მინის განცხადების მნიშვნელობა“.

პრეზიდენტ ხო ში მინის პასუხმა შვედური გაზეთის კორესპონდენტისადმი, ნათქვამია სტატიაში, ფართო გამოხმაურება გამოიწვია მთელ მსოფლიოში. საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების მშვიდობისმოყვარე ხალხები მიესალმებიან ხო ში მინის განცხადებას. პირიქით, საერთაშორისო რეაქცია შეშფოთებულია. იგი ცდილობს დაფაროს, რომ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხი და მთავრობა თანმიმდევრულად ახორციელებენ მშვიდობის პოლიტიკას, რათა ნამდვილად დამოუკიდებელი ვიეტნამი ააშენონ.

ჩვენი არმია და ხალხი, ნათქვამია შემდეგ სტატიაში, მტკიცედ იბრძვიან დამოუკიდებლობისა და მშვიდობისათვის. თუ საფრანგეთის მთავრობა ახლა ნამდვილად სცემს პატივს ვიეტნამის დამოუკიდებლობას და მზად არის დაიწყოს მოლაპარაკება ვიეტნამის სახალხო მთავრობასთან, რათა ბოლო მოეღოს ამ ომს, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხი და მთავრობა მზად იქნებიან მიიღონ საფრანგეთის წინადადება.

ახლა საფრანგეთსა და სხვა ქვეყნებში ვიეტნამის ომის წინააღმდეგ ილაშქრებენ არა მარტო მშრომელები, არამედ ბურჟუაზიის ერთი ნაწილიც. 1948 წლის დამლევს ვიეტნამში აგრესიული ომის წინააღმდეგ საფრანგეთის ეროვნულ კრებაში გამოდიოდა მხოლოდ ხუთი დეპუტატი — სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის წევრი, თუ არ ჩავთვლით პარლამენტის კომუნისტ წევრებს. მიმდინარე წელს ამ ომის წინააღმდეგ გამოვიდა სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის 151 დეპუტატი, თუ არ ჩავთვლით კომუნისტ დეპუტატებს.

ვიეტნამელ ხალხს მაღლა უჭირავს დამოუკიდებლობისა და მშვიდობის დროშა. მას ფართოდ უჭერენ მხარს საფრანგეთის, საფრანგეთის კოლონიებისა და მსოფლიოს სხვა ქვეყნების მშვიდობისმოყვარე ხალხები. მრავალი წლის ბრძოლამ დაამტკიცა, რომ ჩვენი ხალხის ძალები ურყევია.

სანამ ერთიანობასა და დამოუკიდებლობას არ მიაღწევს, ვიეტნამელი ხალხი კვლავაც დიდ სიფხიზლეს გამოიჩენს, გადამწყვეტ ბრძოლას აწარმოებს და ჩაფუშავს მოწინააღმდეგის სამხედრო და პოლიტიკურ გეგმებს.

ავღანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადება

პარიზი, 12 დეკემბერი. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ქაბულიდან -იუწყება:

ავღანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ნაიმ-ხანმა ღღეს ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტს განუცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მიერ პაკისტანისათვის სამხედრო დახმარების გაწევა, თუ ასეთი დახმარება ნამდვილად იქნა გაწეული, ახლანდელ პირობებში მიჩნეულ იქნება როგორც მუქარა ავღანეთისადმი. მან თქვა, რომ ეს საკითხი არ ყოფილ განხილული ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტ ნიქსონთან, როცა იგი ქაბულში იყო.

ნაიმ-ხანმა უარყო ავრეთვე ცნობა იმის შესახებ, რომ ავღანეთის ურთიერთობა პაკისტანთან გაუმჯობესდა, მაგრამ გამოთქვა ავღანეთის დიდი სურვილი, რომ იგი გაუმჯობესდეს.

ბერძენ პოლიტიკურ პატიმართა მიმართვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი

სოფია, 13 დეკემბერი. (საკდესი). ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო გადმოგვცემს:

რადიოსადგური „თავისუფალი საბერძნეთი“ იუწყება, რომ ქალაქ ამფისის (საბერძნეთი) საპყრობილის 180 ტუბერკულოზით დაავადებულმა პოლიტიკურმა პატიმარმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას გაუგზავნა წერილი, რომლითაც ისინი პროტესტს აცხადებენ პატიმრებისათვის შექმნილი პირობების წინააღმდეგ. წერილში ნათქვამია, რომ ტუბერკულოზიან პოლიტიკურ პატიმრებს არავითარ სამედიცინო დახმარებას არ უწევენ. ამის გამო ქალაქ ამფისის საპყრობილეში მოკვდა 21 ტუბერკულოზიანი პატიმარი.

მოძრაობა იზალიამი სსრ კავშირთან და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან ვაჭრობის გაფართოებისათვის

რომი, 12 დეკემბერი. (საკდესი). გაზეთ „უნიტას“ ცნობით გუშინ რომში გაიმართა კომერსანტებისა და მრეწველთა კრება, რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან ვაჭრობის გაფართოების შესაძლებლობის განხილვას.

კრების მონაწილეებმა მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია, რომ სრულიად უდისკრიმინაციოდ ყველა ქვეყანასთან ვაჭრობის თავისუფლების აღდგენა იტალიის ეკონომიკის აღორძინების საიმედო საშუალებაა.

ამერიკის მხარემ შეწყვიტა პანმინჯონის მოლაპარაკება

კორეა-ჩინეთის დელეგაციის კომუნიკე

პეკინი, 13 დეკემბერი. (საკდესი). სინხუას სააგენტოს კორესპონდენტმა გადმოგვცა პანმინჯონის თათბირის მონაწილე კორეა-ჩინეთის დელეგაციის კომუნიკე, რომელშიც ნათქვამია, რომ 12 დეკემბერს ამერიკის წარმომადგენელმა არტურ დინმა დატოვა სხდომის დარბაზი და განუსაზღვრელი დროით შეწყვიტა მოლაპარაკება საკითხებზე, რომლებიც კორეის საკითხთა პოლიტიკური კონფერენციის მოწვევას შეეხება.

კორეა-ჩინეთის მხარის წარმომადგენელმა კი სუკ ბოკმა, რომელიც გამოვიდა სხდომის დასაწყისში, უარყო ამერიკის წინადადება კონფერენციაზე კენჭისყრის წესის შესახებ. ამერიკის წარმომადგენელმა, თქვა მან, შემოიტანა წინადადება, რომ პოლიტიკურ კონფერენციაზე გადაწყვეტილებათა მიღებისას თვითეული მხარე ხმას აძლევდეს, როგორც ერთი მთლიანი, და რომ ეს გადაწყვეტილებები სავალდებულო იყოს ამერიკის მხარის მხოლოდ იმ სახელმწიფოებისათვის, რომლებიც დათანხმდებიან და ხელს მოაწერენ მათ. ეს იმას ნიშნავს, რომ, მეორე მხარემ, გამოვა რა როგორც ერთი მთლიანი, თუნდაც მისცეს ხმა წინადადებას, რომელიც ითვალისწინებს უცხოეთის ჯარების გაყვანას კორეიდან, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას შეუძლია უარი თქვას მის შესრულებაზე იმ საბაბით, რომ იგი არ იწონებს ასეთ წინადადებას და, ამრიგად, არ გაიყვანს თავის ჯარებს კორეიდან. თუნდაც მეორე მხარე დათანხმდეს კორეის საკითხის მშვიდობიან გადაჭრას, სამხრეთ კორეის მთავრობას შეუძლია განაცხადოს, რომ არ ეთანხმება ამ გადაწყვეტილებას და უარს იტყვის მის შესრულებაზე. ასეთ შემთხვევაში, იკითხა კი სუკ ბოკმა, როგორღა შეძლებს ამერიკის მხარე უზრუნველყოს კონფერენციაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულება?

დინი, რომელიც 17 სახელმწიფოს წარმომადგენელია, განაცხადა კი სუკ ბოკმა, თანახმაა, რომ გარკვეული პირობით მოწვეულ იქნან კონფერენციაზე ნეიტრალური სახელმწიფოები. ამავე დროს სამხრეთ კორეის — იმ ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრმა, რომლის წარმომადგენელიც არის დინი, თუ მას დავუჯერებთ, — მტკიცე პროტესტი განაცხადა პოლიტიკურ კონფერენციაში რომელიმე ნეიტრალური სახელმწიფოს მონაწილეობის წინააღმდეგ. მაშ გის სიტყვებს უნდა ვენდოთ — დინის სიტყვებს თუ სამხრეთ კორეის საგარეო საქმეთა მინისტრის სიტყვებს?

დინმა გვერდი აუარა დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემას, წარმოთქვა რა ამის ნაცვლად ცილისმწამებლური სიტყვა კორეა-ჩინეთის მხარის მიმართ.

თავის სიტყვაში კორეა-ჩინეთის მხარის წარმომადგენელმა ხუან ხუამ განაცხადა, რომ დინს არ შეუძლია პასუხი გასცეს დასმულ კითხვებზე, რადგან ეს გამომძღავნებდა ამერიკის მხარის მიზანს, რომელიც იმით გამოიხატება, რომ საშუალება მისცეს გარკვეულ სახელმწიფოებს თავი აარიდონ პოლიტიკური კონფერენციის გადაწყვეტილებათა შესრულებას და მოამზადოს ნიადაგი ამ სახელმწიფოების ეერაგული მოქმედებისათვის მომავალში.

გამოვიდა რა ხელმეორედ, დინმა სცადა აეძულებინა კორეა-ჩინეთის დელეგაცია დათანხმებულიყო მის „წინადადებათა პროექტზე“ და იმუქრებოდა, რომ წინაღმდეგ შემთხვევაში შეწყვეტს მოლაპარაკებას. ვერ გიპასუხა რა თავისი, დინმა დატოვა სხდომის დარბაზი და განუსაზღვრელი დროით შეწყვიტა მოლაპარაკება.

ამერიკის წარმომადგენლის მოქმედება აუაკარავებს ამერიკის მხარის დიდი ხნის მოფიქრებულ გეგმებს, რომელთა მიზანია თათბირის ჩაფუშვა. ამ მანევრებით ამერიკის მხარე ამაოდ ცდილობს დააშინოს კორეა-ჩინეთის მხარე და არ დაუშვას პოლიტიკური კონფერენციის მოწვევა. მისი მიზანია ძალით დააკავოს 20 ათასზე მეტი ტყვე კორეელი და ჩინელი და შეინარჩუნოს საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობა.

პანმინჯონის თათბირზე

პეკინი, 12 დეკემბერი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტოს კესონელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, გუშინ პოლიტიკური კონფერენციის საკითხთა ორი მხარის თათბირზე გაიმართა 22-ე სხდომა. კორეა-ჩინეთის მხარის წარმომადგენელმა კი სუკ ბოკმა დაადასტურა, რომ მეორე მხარის რვა დეკემბრის ეგრეთწოდებული „წინადადების პროექტი“ არ გამოდგება ორი მხარის შეთანხმების საფუძვლად.

ამერიკის წარმომადგენელი არტურ დინი, რომელმაც თავი აარიდა საკითხთა არსებითად განხილვას, კვლავ იცავდა წინანდელ პოზიციას პოლიტიკურ კონფერენციაში ნეიტრალური ქვეყნების მონაწილეობის საკითხში.

ხელახლა გამოვიდა კორეა-ჩინეთის მხარის წარმომადგენელი კი სუკ ბოკი, რომელმაც აღნიშნა, რომ მეორე მხარემ კონფერენციის ფარგლებს გარეთ განაცხადა, რომ მისი „წინადადების პროექტი“ „საბოლოოა“. თუ ეს „საბოლოო წინადადებაა“, ეს იმას ნიშნავს, რომ მეორე მხარე არ აპირებს განაგრძოს რაიმე მოლაპარაკება. ამასთან მას თავი ისე უჭირავს, თითქოს სურდეს განაგრძოს თათბირი, მაგრამ ამავე დროს უარს ამბობს სერიოზულ განხილვაზე. ეს იმის ამაო ცდაა, რომ კორეა-ჩინეთის მხარეს დააკისრონ პასუხისმგებლობა თათბირის გაჭიანურებისა და მისი ჩაშლის საფრთხისათვის.

ამერიკელი ექიმები მხეცურად ეპყრობიან სამხედრო ტყვეებს

პეკინი, 12 დეკემბერი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო გადმოგვცემს, ჩინეთის ფოთელი ჯარის საზოგადოებამ გამოაქვეყნა მოხსენება, სადაც მოყვანილია დოკუმენტალური ცნობები, რომლებიც მოწმობენ, რომ ამერიკის არმიის სამხედრო მოსამსახურეები და ექიმები სამხედრო ტყვეთა მკურნალობის დროს სავსებით უგულებელყოფენ მედიცინის ძირითად მიზნებსა და ჰუმანურობის პრინციპებს.

მოხსენებაში, კერძოდ, აღნიშნულია არაჩვეულებრივად დიდი პროცენტი ამპუტაციებისა, რომლებიც ამერიკის არმიის სამხედრო ქირურგებს გაუკეთებიათ სამხედრო ტყვეთა მკურნალობის დროს. 840 ჯარისკაციდან, რომლებიც ინვალიდები და ხეიბრები გახდნენ, 135 კაცი უხელფეხო დარჩა ისეთი ამპუტაციის შედეგად, რომელიც აუცილებელი არ იყო; ზოგიერთ შემთხვევაში კი კიდურთა მოკვეთა დანაშაულობა იყო. კიდურები მოუკვეთიათ დამზრალთა 70 პროცენტისათვის. ამერიკის არმიის სამხედრო ქირურგები ხშირად უგულებელყოფდნენ ქირურგიის ძირითად პრინციპებს, უარს ამბობდნენ რა რთულ მოტეხილობათა და სხვა ჭრილობათა პროფილაქტიკური ღონისძიებებით მკურნალობაზე, ღია მტეხილობის დროს ძვლების შეზრდაზე, შინისა და თაბაშირის სახვევის დადებაზე, აგრეთვე ავადმყოფობის გართულებისა და მძიმე შედეგების წინაღმდეგ ღონისძიებათა მიღებაზე.

სპეციალისტებმა, რომლებმაც შემოწმება მოახდინეს, აღმოაჩინეს, რომ რეპატრიირებულთა შორის არაჩვეულებრივად ბევრი იყო ავადმყოფი სასუნთქი ორგანოების ქრონიკული ანთებით; 657 კაციდან ეს სენი სჭირდა დაახლოებით 90 პროცენტს. სამხედრო ტყვეთა დაახლოებით სამ მეოთხედს ფილტვების ღია ფორმის ტუბერკულოზი ჰქონდა.

ავადმყოფობის ისტორიები უდავოდ ამტკიცებენ, რომ ამერიკელთა პანაკებში ავადმყოფებს ცუდად ეპყრობოდნენ და აწამებდნენ, რაც იწვევდა დაავადებას. ამერიკელი ხელისუფლები ავადმყოფობის დროსაც კი მხეცურად ეპყრობოდნენ მათ, კერძოდ აყენებდნენ შხამიან გაზებს, რომლებსაც ყველა სამხედრო ტყვის წინაღმდეგ ხმარობდნენ.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სხდომაზე

ბერლინი, 13 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ გაიმართა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა 1954 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმა.

ამ საკითხზე გამოვიდა სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე ბრუნო ლაიშნერი, რომელმაც აღნიშნა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობის ცხოვრების დონის შემდგომი ამაღლების საკითხები მჭიდროდ დაკავშირებულია 1954 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის მთავარ საკითხებთან. ლაიშნერმა განაცხადა, რომ 1954 წლის გეგმით გათვალისწინებულია მასობრივი მოხმარების საქონლის წარმოების გაფართოება 1953 წელთან შედარებით 23,5 პროცენტით.

შემდეგ ლაიშნერმა განაცხადა, რომ საჭიროა გაჩაღდეს ბრძოლა ფართო მოხმარების საქონლის ხარისხის გაუმჯობესებისა და მისი ასორტიმენტის გაფართოებისათვის. ამასთან დაკავშირებით მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ვაჭრობის მუშაკებმა საწარმოებისაგან უნდა მოითხოვონ მხოლოდ მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვება. ლაიშნერმა განაცხადა, რომ მთავრობის მიერ მიღებულ ღონისძიებათა შედეგად, რომელთა მიზანია მშრომელთა ცხოვრების გაუმჯობესება, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობის მყიდველობითი უნარი 87 პროცენტით გადიდდა 1950 წელთან შედარებით.

ლაიშნერმა დასძინა აცნობა, რომ გეგმით გათვალისწინებულია სამრეწველო პროდუქციის წარმოების გადიდება, კერძოდ, ელექტროენერგიის წარმოებისა და ქვანახშირის ამოღების გადიდება. მან აღნიშნა, რომ ამოცანები, რომლებსაც სახალხო-სამეურნეო გეგმა უსახავს სოფლის მეურნეობას, მჭიდროდ დაკავშირებულია მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების კურსთან.

მინისტრთა საბჭომ მოიწონა პროექტი კანონისა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 1954 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესახებ.

ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ნერუს გამოსვლა

დელი, 12 დეკემბერი. (საკდესი). ინდოეთის საინფორმაციო ბიურო იტყობინება:

როგორც პრეს ტრასტ ოფ ინდიას სააგენტო იუწყება, ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ნერუმ, რომელიც გუშინ გამოვიდა მასობრივ მიტინგზე დეხრა-დუნში, მოუწოდა ინდოეთის ხალხს გამოიჩინოს მტკიცე გადაწყვეტილება, რომ გაერთიანებული დარჩეს, რათა შეხედეს ყოველგვარ მოვლენას, რომელიც შეიძლება წარმოიშვას პაკისტანისა და ამერიკის შეერთებული შტატების განზრახულ სამხედრო პაქტთან დაკავშირებით.

„თუ პაკისტანის არმია, — განაცხადა ნერუმ, — გაძლიერდა ამერიკის შეერთებული შტატების დახმარების შედეგად, ეს გავლენას მოახდენს არა მარტო ინდოეთზე, არამედ აგრეთვე მთელ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაზე. ეს, უეჭველია, დაარღვევს მთელ ძალთა თანაფარდობას ამ რაიონში“.

ინდოეთის პრემიერ-მინისტრ ნერუს განცხადება

დელი, 13 დეკემბერი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ჰინდუსტან ტაიმსი“ იუწყება, ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ნერუმ 12 დეკემბერს დეჰრა-დუნში სიტყვით მიმართა ინდოეთის ეროვნული სამხედრო აკადემიის კადეტებს. ნერუმ განაცხადა, რომ ინდოეთს „არავითარი სამხედრო პრეტენზია არა აქვს რომელიმე ქვეყნისადმი, მაგრამ ამავე დროს იგი არ დაუშვებს თავის საშინაო საქმეებში რომელიმე სხვა ქვეყნის სამხედრო ჩარევას“.

ნერუმ ხაზგასმით აღნიშნა: „ჩვენ მშვიდობისმოყვარე ერი ვართ. ჩვენს გეგმას არ შეადგენს და ჩვენს პოლიტიკას არ შეესაბამება სხვა ქვეყნებში შეჭრა ან მათი დაპყრობა, მაგრამ არ დავუშვებთ ჩვენი სამშობლოს საზღვრების რაიმე დარღვევას. ჩვენ უნდა დავიცვათ ჩვენი საზღვრების უშიშროება შემოჭრის თავიდან ასაცილებლად. ეს იმას ნიშნავს, რომ მომზადებული უნდა ვიყოთ როგორც სამხედრო, ისე სხვა მხრივ“.

თბილისი

თგილისური ავეჯი და პიანინო



საწოლი ოთახის მხატვრულად, ლამაზად გაფორმებული მოწყობილობის ეს ახალი სახეობა სულ ახლახან აითვისა თბილისის მუსიკალური ინსტრუმენტებისა და ავეჯის კომბინატმა. მოწყობილობა დამზადებულია კაკლის ხისაგან და მოკაზმულია ვერხვის ნუყრით, რაც წარმოებაში პირველად დაინერგა. გაპრიალებული ვერხვის ნუყრის ფიცარი გამოირჩევა ფერების ლამაზი ნაირსახეობით. მოწყობილობის ეს ახალი სახე შეიმუშავა ტექნოლოგმა ზ. კოჩუაშვილმა, მხატვრულად გააფორმა არქიტექტორმა ვ. მაკარევიჩმა.

კაკლის ხისა და ვერხვის ნუყრის შეხამებით კომბინატმა დამზადა ლამაზი საწერი მაგიდები. უკვე გამოშვებულია საწოლი ოთახის ახალი სახეობის 30 მოწყობილობა და 800 ცალი საწერი მაგიდა.

კომბინატი დიდი რაოდენობით უშვებს სასადილო ოთახის, კაბინეტის კაკლის ხის მოწყობილობას, წიგნის კარადებსა და სხვა ავეჯს. მიმდინარე წელს უკვე გამოშვებულია 190 კომპლექტი სხვადასხვა გარნიტური.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ხარისხი კომბინატის მიერ გამოშვებული პიანინოებისა, რომლებზეც მოსახლეობის მოთხოვნილება დღითიდღე იზრდება. ახლა ისინი გამოირჩევიან საუკეთესო ტონალობითა და გაკრიალებით. წელს აქ დამზადდა 711 პიანინო.

კომბინატი ამუამად მუშაობს პიანინოს ახალი მოდელის „ს-6“ ასათვისებლად. ამ მიზნით კომბინატმა ლენინგრადის ფაბრიკა „კრასნი ოკტიაბრში“ გაგზავნა წარმოების საუკეთესო მუშაკები.

სურათზე: საწოლი ოთახის გარნიტურის ახალი სახე, რომელსაც უშვებს თბილისის მუსიკალური ინსტრუმენტებისა და ავეჯის კომბინატი.

ფოტო ვლ. ზარიძისა.

გ. მ. ხუნდაძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

მოსკოვის სკლიფასოვსკის სახელობის სასწრაფო დახმარების სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ექსპერიმენტული ქირურგიის განყოფილების გამგემ გ. მ. ხუნდაძემ მოსკოვის პირველი სამედიცინო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: „ხელოვნური საყლაბავი მილი წვრილი ნაწლავისაგან (ანატომიურ-კლინიკური გამოკვლევა)“.

სსრ კავშირის კულტურის სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა სატესტაციო კომისიამ დაამტკიცა გ. მ. ხუნდაძისათვის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მინიჭება.

არქიფექტურის ძეგლების შესწავლა

საქართველოს ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ისტორია-არქეოლოგიის განყოფილება რამდენიმე წელია გზავნის ექსპედიციებს საქართველოს სხვადასხვა რაიონში შუა საუკუნეების სამხედრო და სამოქალაქო არქიტექტურის შესასწავლად. ამ ექსპედიციებს ხელმძღვანელობს დოცენტი პ. ზაქარაია.

უკვე დაბრუნდა ექსპედიცია, რომელიც მუშაობდა ისტორიული შიდა ქართლის, მტკვრის აუზის მარჯვენა მხარის შესასწავლად. ექსპედიციის მიერ შესწავლილი და ფიქსირებული რამდენიმე ათეული ძეგლი, ციხე-სიმაგრე, კოშკი, სასახლე, ქარვასლა, აბანო და სხვ. მათ შორის აღსანიშნავია ძამას და სამწვერისის ციხეები, მძორეთის ციხე-დარბაზი, გ. საკაძის ბრძოლებთან დაკავშირებული ნოსტეხა და ცხირეთის ანსამბლი და სხვ.

მეორე ექსპედიცია განაგრძობს მუშაობას საქართველოს სხვადასხვა რაიონში ეპიგრაფიკული, მემორიალური და სხვა ხასიათის ქვის ძეგლების გამოსავლინებლად. კასპის რაიონის სოფელ კაბერიდან ჩამოიტანეს X-XI საუკუნეების კანკელის ფრაგმენტები და სტელის ბაზისი წარწერით. საინტერესო ისტორიულ და იურიდიულ დოკუმენტებს შეიცავს თეთრი წყაროს რაიონის სოფელ ჩხიკვთადან წამოღებული სამი ქვა.

ფეხბურთი

კვირას, 13 დეკემბერს, დაიწყო სსრ კავშირის კონსტიტუციის სახელობის თასის გათამაშება ფეხბურთში ჩვენი რესპუბლიკის უძლიერესი გუნდების მონაწილეობით.

თბილისის „დინამოს“ სტადიონზე შეხვედრებში ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს გუნდმა მოუგო ბორჯომის ფეხბურთელთა ნაკრებ კოლექტივს ანგარიშით 4:0, თბილისის სკიფისა („მედიკი“) და ბათუმის „დინამოს“ შორის შეჯიბრება დამთავრდა სკიფის ფეხბურთელთა გამარჯვებით ანგარიშით 6:3.

საქართველოს ჩემპიონატი კრივში

ღღეს თბილისის სახელმწიფო ცირკის შენობაში იწყება საქართველოს 1953 წლის პირადი პირველობის გათამაშება კრივში. თვითეულ წონით კატეგორიაში ჩარიცხულია 12 მოკრივე.

პირველობის გათამაშებაში მონაწილეობას იღებენ ცნობილი მოკრივეები, სპორტის ოსტატები — გ. ხანუკაშვილი, ძმები გ. და ნ. დარბაისელები, რ. კალაჯავი, თ. მიქელაძე და სხვ.

საქართველოს პირადი პირველობის გათამაშება კრივში 18 დეკემბრამდე გაგრძელდება.

რედაქტორი დ. მჭედლიშვილი.

ოპერისა და ბალეტის თეატრი

15 დეკემბერს	ჟ. ბიზე — **კარმენი** (დ. დონატოვის მონაწილეობით).
16 დეკემბერს	პ. ჩაიკოვსკი — **ევგენი ონეგინი** (დასაწყისი საღამოს 7 ს.).

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

დღეს თეატრებსა და კინოებში

რუსთაველის სახელობის — ოტელო, **მარჯანიშვილის სახელობის** — რაც გინახავს, ვეღარ ნახავ (რკინიგზელის სახლში), **გრიბოედოვის სახელობის** — გვარს ნუ დავასახელებთ (ოფიცერთა სახლში), **მუსიკალური კომედიის** — მეგობრები, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ასე იწყება ცხოვრება (აბონემენტი № 47, 4 ს.), **სანიტარული კულტურის** — საგზურები, **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — ვიცეზემდეგი (6 ს.), **თოჯინების ქართული** — ალადინის ჯადოსნური ლამპარი (2 ს.).

* * *

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ოქტომბერი, თბილისი, ისანი, პლეხანოვისა და ვოროშილოვის სახელობის კლუბები — ტარაპუნკა და შტეპსელი ღრუბლებქვეშ, **საუზმე წინამძღოლისას**, **კოლხიდა** — ვასა ჟელეზნოვა, **26 კომისრის** — ქალაშვილი პაემანზე მიიჩქარის, **ჰაბუკი** ტაგიდან, **კოლმეურნე** — შეხვედრა ელბაზე.

მოქალაქე **ალექსანდრა საველის ასულმა გრუშევსკაიამ**, მცხოვრებმა პრესის ქ. № 22, აღძრა საქმე სუნდუკიანის ქ. № 17 მცხოვრებ მოქალაქე **გიორგი ვიქტორის-ძე ჯაფარიძესთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს კიროვის რაიონის პირველი უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **ოლღა ალექსანდრეს ასულმა სალარიძემ**, მცხოვრებმა თბილისში ხეთაგუროვის ქ. № 34, აღძრა საქმე ქ. რუსთავში მშენებელთა ქ. № 29 მცხოვრებ მოქალაქე **არკადი ბორისის-ძე რაგოზინთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს ქ. რუსთავის სახალხო სასამართლო.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი აცხადებს, რომ ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 1953 წლის 29 დეკემბერს, ღღის 1 საათზე, საკტო დარბაზში (ძერჟინსკის ქ. № 8) ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციას დაიცავენ:

ბესარიონ დავითის-ძე ჟღენტი თემაზე: **„К истории грузинской советской литературы“.**

ოფიციალური ოპონენტები: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პროფესორი **ა. ბარამიძე**, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი **შ. რადიანი.**

გიორგი შალვას-ძე ციციშვილი თემაზე: **„შალვა დადიანის დრამატურგია“.**

ოფიციალური ოპონენტები. ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი **მ. ჩიქოვანი**, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი **დ. ბენაშვილი.**

დისერტაციების გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (ძერჟინსკის ქ. № 8).

მეუღლე ანთიმოზ, შვილები ლეო, ტატიანა, ქეთო, რძლები ლიუდმილა, მარგო, პეტრე, ნინო ფირალოვები, სიძეები კ. ვასუტინი, შ. ბეშკენაძე და შვილიშვილები იუწყებიან **ეფროსინე ივანეს ასულ ბაბუხადიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 20-XII, 4 ს. ქ. ქუთაისში. გამოსვენება ბინიდან, ლენინის ქ. № 93.

მეუღლე მარიამ, დები დარია, თამარ, ძმები ვასილ, პლატონ, მიხეილ ბარამიძეები ოჯახებით იუწყებიან **სამსონ კონსტანტინეს-ძე ბარამიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 15, 16-XII, 7 ს. გამოსვენება 17-XII, 5 ს. ნინოშვილის ქ. № 24.

მეუღლე ანეტა, შვილები ვლადიმერ, კლიმენტი, რძლები ვერა, მარიამ, ლიზა, შვილიშვილები ირაკლი, მანანა, მაყვალა, ნათელა ლეკვები იუწყებიან **ბათლომე ლომონის-ძე ლეკვას** გარდაცვალებას, დაკრძალვა 17-XII, სოფ. დიდ ჯიხაიშში.

მეუღლე ანა, შვილი ვახტანგ, ძმა გიორგი ოჯახით იუწყებიან **რაჟდენ ბარძიმის-ძე ჯაფარიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 16-XII, 8 ს. გამოსვენება 17-XII, 3 ს. კამოს ქ. № 75.

მეუღლე ოლღა, შვილები ივთანდილ, დარეჯან, ძმა ვასო, ბიძა ვლადიმერ, ბიცოლა კაზდო, ბიძაშვილები ლიუცია, ლუბთა, ბუდუ, გიორგი იუწყებიან **ქრისტეფორე ევგენის-ძე გოშაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 15, 16-XII, 7 ს. გამოსვენება 17-XII, 4 ს. ქობულეთის ქ. № 19.

მეუღლე ვერა, შვილები ლილი, ნათელა, სიძეები გრიგოლ მურღულია, იასონ დათაშვილი იუწყებიან **ივანე სიმონის-ძე ბალავაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 15, 16-XII, 7 ს. გამოსვენება 17-XII, 5 ს. საბჭოს ქ. № 7.

მეუღლე დარო, შვილები ნიკოლოზ, ვარვარა, ელენე, ფედოსი, ქრისტეფორე, გიორგი, თინა, რძლები ნადია, ნინო, შვილიშვილები იუწყებიან **ილია ზურაბის-ძე კვალიჩიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 16-XII ქ. სტალინირში, გამოსვენება ბინიდან, 8 ივნისის ქ. № 65.

შვილი ვერა, სიძე ეზიკ ხაზარაძე, შვილიშვილები რეზო და მადონა იუწყებიან **კესარია კუჭუხიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 15-XII, ს. ბაშში (სამტრედიის რაიონი).

შვილები ვარვარა, ელენე, სიძეები ჭიჭიკო მდივანი, პლატონ შაორშაძე, შვილიშვილები მიმი, მარად, ვაჟა, ვალერი, ზურაბ იუწყებიან **ილია ზურაბის-ძე კვალიჩიძის** გარდაცვალებას.

დედა ნინო, დები ნუცა, თამარ, ძმა ვასილ ქობულეები, რძალი ლუიზა სორდია, დისწულები შთო, ინგა დედაბრიშვილები, ძმისწულები ვასო, გივი ქობულეიები იუწყებიან **თინათინ ვასილის ასულ ქობულია-ჯოჯიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 15, 16-XII, 8 ს. გამოსვენება 17-XII, 3 ს. ირაგვის ქ. № 7.

მეუღლე მარო, შვილები ჯონდო, ლილი, ძმა ლავროსი, რძლები ნინო, ვერა, დები ვასანი, ნიფო, ბიძაშვილები გალექტიონ, გიორგი ჯღერეიები იუწყებიან **ამირან ერმალოს-ძე ჯღერიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 15, 16-XII, 7 ს. გამოსვენება 17-XII, 4 ს. საზღვრის ქ. № 25.

შვილები ნათელა, ნინო, ნუნუ, ნანული, სიძე გ. ძიძიგური, შ